პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1980 წელი ხუთშაბათი 28 აგვისტო № 198 (17841) ფასი 2 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



პარტიის XXVI ყრილობისათვის

მაჯიანე: საქართველო — მეცხოველეობის რესპუბლიკა

ყრილობისწინა დათვალიერებაზეა ხორცის, რძის, კვერცხის წარმოება



მეათე ხუთწლედის განვლილმა პერიოდმა თვალნათლივ დაადასტურა, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII კენტუმის გადაწყვეტილებების განხორციელების შედეგად სერიოზული გარდატეხა მოხდა რესპუბლიკის მეცხოველეობის განვითარებაში.

ამას მოწმობს თუნდაც 1979-1980 წლების ზამთრის პერიოდში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გადიდებისათვის საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩვენი ფერმის მუშაკების გამარჯვება, რისთვისაც რესპუბლიკა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელით დაჯილდოვდა.

ამჯერად ყრილობისწინა დათვალიერებაზეა მეცხოველეობა — ჩვენი მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის საარსებო მნიშვნელობის დარგი, რომლის შემდგომი აღმავლობა მზრუნველთა კეთილდღეობის გაუმჯობესების ერთ-ერთი ძირითადი პირობაა.

ნოვატორები

წითელწყაროს რაიონის ჯაფარიძის კოლმეურნეობის მწველავი, სოციალისტური შრომის გმირი ზაირა ალბანიშვილი.



ყაზბეგის რაიონის სნოს კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმის ბრიგადირი, ორგზის ლენინის ორდენოსანი გიგო გელაძე.

ახმეტის რაიონის ქვემო ალვანის საბჭოთა მეურნეობის მეღორეობის ფერმის მწყემსი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ციცინო შაბალაძე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 27 სექტემბრის დადგენილება „საქართველოს სს რესპუბლიკაში სახმრეთოული და სუბტროპიკული კულტურების წარმოების ზრდისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი დაჩქარებული განვითარების შესახებ“ ორი სხვადასხვა თვალთახედვით ამოცანას აყენებს ჩვენ წინაშე. პირველი გვავალებს ისეთი პროდუქციის წარმოების გადიდებას, რომელსაც საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობასა და საკავშირო შრომის დანაწილებაში დიდი ხვედრითი წილი აქვს. ეს არის ყურძენი, ხილი, ჩაი, ციტრუსები და სხვა სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების პროდუქცია. მეორე ამოცანა კი ლოკალური პრობლემების გადაწყვეტას — მეცხოველეობის პროდუქტებით რესპუბლიკის მოსახლეობის, მისი სამრეწველო ცენტრების, საკურორტო და ტურისტული ზონების მომარაგების რადიკალურ გაუმჯობესებას ითვალისწინებს.

რესპუბლიკაში 1985 წლისათვის 1979 წელთან შედარებით ხორცის წარმოება უნდა გადიდდეს 7 პროცენტით, 1990 წლისათვის — 34,7 პროცენტით, შესაბამისად რძისა — 16,8 და 40,2 პროცენტით, კვერცხისა — 56,6 და 87,9 პროცენტით. ესე იგი, როგორც უახლოეს პერიოდში, ისე პერსპექტივაში მეცხოველეობა საქართველოს პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საზრუნავია.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის XVIII პლენუმმა, პირველად საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ისტორიაში, შეძლო შეეკრიბა და გაეანალიზებინა არა მარტო სპეციალისტებისა და მეცნიერების, არამედ საქართველოს მთელი საზოგადოებრიობის მოსაზრებები მეცხოველეობის ბედზე ჩვენში და მიეღო გადაწყვეტილება, დაძაბული, მაგრამ სავსებით რეალური პროგრამა. პლენუმის დევიზი — „საქართველო უნდა გახდეს მაღალგანვითარებული მეცხოველეობის რესპუბლიკა“ — შეიძლება ითქვას, იცის დიდმა და პატარამ. ხატოვნად რომ ვთქვათ, ეს მოთხოვნა დღეს ასეთი იქნება! ჩვენ იმდენად ღარიბები ვართ მეცხოველეობისათვის საჭირო სახნავი სავარგულებით, რომ უფლება არა გვაქვს ცოტა ხორცი და რძე ვაწარმოოთ. ამას, რა თქმა უნდა, მცირეოდენი დაზუსტებაც სჭირდება. ჩვენ უნდა შევძლოთ რესპუბლიკის განკარგულებაში არსებული სავარგულების ერთეულ ფართობზე მაქსიმალური რაოდენობის მეცხოველეობის პროდუქტები ვაწარმოოთ, თუ გვინდა, რომ საქართველოს მოზარდ თაობას — ბავშვებს სხვებზე ნაკლები რძე არ ეძლოდეთ, ან არ ვწითლდებოდეთ ჩვენს კურორტებზე დამსვენებლების, ტურისტების, რესპუბლიკის სხვა სტუმრების წინაშე, რომელთაც იმდენ და ისეთ არაყანს, ხორცს ან კვერცხს ვერ ვთავაზობთ, რამდენსაც სხვა რესპუბლიკები, მხარეები და ოლქები.

არსებობს მოსაზრება, თითქოს საქართველოს მოსახლეობა ტრადიციულად, ხორცის ნაკლები მომთხოვნი იყოს. შეიძლება ამიტომაც ჩვენთან ერთ სულ მოსახლეზე ხორცის მოხმარების დონე ერთ-ერთი ყველაზე უფრო დაბალია კავშირის მასშტაბით. ეს მოსაზრება საფუძველს მოკლებული როდია, მაგრამ მასზე დაყრდნობა თავის მოტყუება იქნებოდა, რადგან დღეს ჩვენს მუშათა კლასს ან ინტელიგენციას, გარდა დღესასწაულებისა, სახელმწიფო სავაკრო ქსელიდან ვერ ვთავაზობთ იმდენ და ისეთ ახალ ხორცს, რამდენიც და როგორიც მათ ხერთ შეისყიდონ. ასეთივე მდგომარეობა გვაქვს რძისა და რძის პროდუქტების წარმოებაშიც. მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების განუხრელი გადიდების ამოცანა მწვავე სოციალური და პოლიტიკური მნიშვნელობისაა, სწორედ ამიტომ გაამახვილა ამ საკითხზე ყურადღება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმმა.

შემთხვევითი არ არის, რომ ჩვენ კვლავ და კვლავ ვუბრუნდებით XVIII პლენუმს. საქმე ის არის, რომ ამ პლენუმის მიერ ჩამოყალიბებული მეცხოველეობის განვითარების პრინციპული მიმართულებები და დებულებები ძალაში რჩება, როგორც მეთერთმეტე ხუთწლედისათვის, ისე პერსპექტივისთვისაც. სანამ ამ მიმართულებებს გავიხსენებდეთ, თვალი გადავავლოთ რესპუბლიკის მეცხოველეობის სტრუქტურას და მოცულობას საკავშირო მაჩვენებლებთან შედარებით.

რესპუბლიკის ყველა კატეგორიის მეურნეობებში 1547,7 ათასი სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი გვყავს, ანუ ას ჰექტარ სახოფლო-სამეურნეო სავარგულზე 51,5 სული, მათ შორის 607 ათასი სული ფურია, ანუ ას ჰექტარზე მოდის 20 სული, 2033,6 ათასი სულია — ცხვარი; ას ჰექტარზე მოდის 70 სული. 940,4 ათასი ღორი გვყავს, ანუ ას ჰექტარ სახნავზე 90 სული; ფრინველი კი 17.589 ათასი ფრთა გვყავს, ას ჰექტარ მარცვლეულის ნათესზე—3870 ფრთა. კავშირში ას ჰექტარ სახოფლო-სამეურნეო სავარგულზე არის 20 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, აქედან ძროხა — 7 სული, ცხვარი — 26 სული, ღორი — 30 სული, ფრინველი — 583 ფრთა. რესპუბლიკაში სახოფლო-სამეურნეო სავარგულის ერთეულზე ვაწარმოებთ 1,6-ჯერ მეტ ხორცს, 1,2-ჯერ მეტ რძეს და 1,8-ჯერ მეტ კვერცხს, ვიდრე საშუალოდ კავშირში. აქვე უნდა ითქვას, რომ საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე ვაწარმოებთ 2,2-ჯერ ნაკლებ ხორცს, 2,9-ჯერ ნაკლებ რძეს და ორჯერ ნაკლებ კვერცხს, ვიდრე კავშირში საშუალოდ. საჭიროა აგრეთვე აღვნიშნოთ, რომ 1979 წლის მონაცემებით, რესპუბლიკაში ერთ ფურზე საშუალოდ 1.621 კილოგრამი რძეა მიღებული, კავშირში კი — 2.310 კილოგრამი. მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის საშუალო დღიური წონამატება საქართველოში 392 გრამია, ხოლო ღორისა 292 გრამი, კავშირში კი იგი 1,5-2-ჯერ უფრო მეტია. მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის საშუალო ჩახარებული წონა საქართველოში 254 კილოგრამია, კავშირში კი 360 კილოგრამი.

ვფიქრობთ, რომ ამ შედარებებმა არც ჩვენი ოვითდამშვიდება უნდა გამოიწვიოს და არც პესიმიზმი. ეს იმის შედეგია, რომ რესპუბლიკის სავარგულების სპეციფიკა და მათი გამოყენების ისტორიულად ჩამოყალიბებული ტრადიციები თავისებურია. ეს გათვალისწინა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმმა და დასახა პროგრამა ბარის რაიონებში, განსაკუთრებით ხამრეწველო ცენტრების ირგვლივ, არსებული სახნავი ფართობების ინტენსიური გამოყენების ბაზაზე მაღალპროდუქტიული მეცხოველეობის განვითარების თანამედროვე სამრეწველო კომპლექსებისა და კომპლექსურად მექანიზებული ფერმების შექმნის აუცილებლობა.

აქ საქმე გვაქვს მეცხოველეობის განვითარების ინტენსიურ პრინციპებთან. სამთო მეცხოველეობისათვის, რომლის ძირითადი საკვები ბაზა სუბალპური და ალპური სავარგულებია, ძირითად ამოცანად დაისახა სულადობის მატება საერთოდ საძოვრული, მათ შორის მომთაბარე მეცხოველეობის ტიპის შენარჩუნებით.

საერთოდ, როგორც ცნობილია, პლენუმმა მეცხოველეობის განვითარების პრობლემის სათავეში დააყენა საკვები ბაზის საკითხი, ამ საქმეში მეცნიერების თანამედროვე მიღწევების დანმის მიერ მეათე ხუთწლედისათვის შემუშავებული პროგრამა მის ძირითად ნაწილში გადაჭარბებით სრულდება.

წლეულს წლის ბოლოს მოსალოდნელია 1974 წელთან შედარებით ხორცის წარმოების ზრდა 10,1 პროცენტით, სახელმწიფო დამზადებისა — 27,5 პროცენტით, შესაბამისად რძისა — 23,1 და 29,1 პროცენტით, კვერცხისა — 37,5 და 63,4 პროცენტით, საკვების დამზადებისა — საკვებ ერთეულებში გადაყვანით 33,8 პროცენტით.

ამას წინათ გამამართულმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XX პლენუმმა დღის წესრიგში განიხილა საკუთრებული სიმწვავით დააყენა XVIII პლენუმის მიერ დამტკიცებული პროგრამის ის ნაწილები, რომელთა შესრულება დამაკმაყოფილებელი ტემპით არ მიმდინარეობს. უპირველესად, ეს არის მეცხოველეობის განვითარების ხარისხობრივი მაჩვენებლები: პროდუქტიულობა, წონამატება, საკვების დანახარჯები წარმოებული პროდუქციის ერთეულზე, რენტაბელობა, საკვებწარმოების ინტენსიფიკაცია, დარგისათვის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება და სხვა.

სწორედ ამ პრობლემების გადაწყვეტა რჩება მეთერთმეტე ხუთწლედში ძირითად საბრძოლო დავალებად რესპუბლიკის მეცხოველეობისათვის, მით უმეტეს, რომ ისეთ უმნიშვნელოვანეს უბანზე, როგორიც არის მესაქონლეობა (მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი), სულადობის შემდგომი ზრდის საშუალებები უკვე საკმაოდ შეზღუდულია და პროდუქციის წარმოების მატება უნდა მოხდეს ძირითადად ინტენსიფიკაციის გზით. აქვე უნდა ვთქვათ, რომ თუ მეთერთმეტე ხუთწლედში მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის დიდი მატება არ არის გათვალისწინებული, სამაგიეროდ მისი პროდუქტიული ნაწილის — ფურების რაოდენობა საერთო ჯოგში მნიშვნელოვნად მოიმატებს. ეს იმას ნიშნავს, რომ მოიმატებს მხოლოდ ფურების სულადობა და სტრუქტურაშიც სერიოზული დადებითი ცვლილებები მოხდება. ამ ამოცანის გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ სანაშენო საქმის თანამედროვე მოთხოვნების საფუძველზე დაყენების და არა მარტო ჯიშიანი პირუტყვის რესპუბლიკის გარეთ შეძენის გზით, როგორც, სამწუხაროდ, ბევრი ჩვენი ხაბჭოთა და სამეურნეო ორგანოების მუშაკი შეეჩვია.

საერთოდ მეთერთმეტე ხუთწლედში ჩვენი ძალების განაწილება მეცხოველეობის დარგებში შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ: მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის საწარმოო სიმძლავრეების, პირველ რიგში მარტივი ფერმების რეკონსტრუქცია მათში კომპლექსური მექანიზაციის დანერგვით, სამრეწველო ტიპის კომპლექსების ტექნოლოგიის დახვეწა და საპროექტო სიმძლავრეებზე აყვანა, ახალი ტიპის ფერმების მშენებლობა არსებული და მომავლისათვის გათვალისწინებული სულადობისათვის.

მეცხვარეობაში გათვალისწინებულია სულადობის სტაბილიზაცია, დარგის მომთაბარე ხასიათის შენარჩუნება, ზაფხულისა და ზამთრის საძოვრებზე ფუნდამენტური აგრო და კულტურულ-ტექნიკური ღონისძიებების განხორციელება, მათი პროდუქტიულობის ამაღლება.

დიდი ამოცანებია დასახული სამრეწველო ტიპის საწარმოო სიმძლავრეების მშენებლობის/ფართო პროგრამის განხორციელებისათვის მეფრინველეობასა და მეღორეობაში.

დიდი კაპიტალდაბანდებებია გათვალისწინებული მეგოცვრეობაშიც. აშენდება ახალი კომპლექსები და საექსპლოატაციოდ გადაეცემა 70 ათას სულზე მეტი ტევადობის კომპლექსები.

სწორედ ამ სამი სწრაფი გამრავლების უნარის მქონე დარგზე უნდა მოდიოდეს უახლოეს 10 წელიწადში რესპუბლიკაში გათვალისწინებული ხორცის წარმოების მატების 70-75 პროცენტი.

ო. ვარძელაშვილი,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

ყველას საზრუნავი



მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების მატება მეათე ხუთწლედში

ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი ალმა-ათაში ჩავიდა

27 აგვისტოს მოსკოვიდან ალმა-ათას გაემგზავრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი. იგი მონაწილეობას მიიღებს ყაზახეთის სს რესპუბლიკის და ყაზახეთის კომუნისტური პარტიის მე-60 წლისთავის დღესასწაულობაში.

აეროდრომზე ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი გააცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატებმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნებმა, სხვა ამხანაგებმა. (საკდესი).

• • •

ამავე დღეს ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი ალმა-ათაში ჩავიდა.

აეროდრომზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს გულითადად მიესალმნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი დ. ა. კუნაევი, ყაზახეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ს. ნ. იმაშევი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ბ. ა. აშიმოვი, რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელები.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს დახვდნენ აგრეთვე საიუბილეო ზეიმობაზე წარგზავნილი მოსკოვის, ლენინგრადის, მოკავშირე რესპუბლიკების დელეგაციების მეთაურები სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები ვ. ვ. გრიშინი, გ. ვ. რომანოვი, ვ. ვ. შჩერბიცკი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატები გ. ა. ალიევი, ჰ. მ. მაშეროვი, შ. რ. რაშიდოვი, მ. ს. სოლომენცევი, ე. ა. შევარდნაძე, მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების პირველი მდივნები ი. ი. ბოდიული, ა. ე. ვოსი, ტ. უ. უსუბალიევი, ჯ. რასულოვი, კ. ს. დემირჩიანი, მ. გ. გაპუროვი, კ. ვ. ვაინო, ლატვიის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. ს. ბარკაუსკასი, სხვა ამხანაგები.

დამხვდურთა შორის იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ს. გორბაჩოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ზ. ნ. ნურიევი.

აეროპორტში და ქალაქისაკენ მიმავალ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს გულთბილად მიესალმებოდნენ ალმა-ათის მცხოვრებნი. (საკდესი).

ალმა-ათა. აეროდრომზე შეხვედრის დროს.
საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

მოქმე ყაზახეთში სახელოვანი იუბილეს დღესასწაულობაზე

27 აგვისტოს თბილისიდან ალმა-ათაში ყაზახეთის სსრ და ყაზახეთის კომუნისტური პარტიის მე-60 წლისთავის ზეიმობაში მონაწილეობის მისაღებად გაემგზავრა საქართველოს სსრ დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ვ. აღლაძე. ამ ბრიგადაში „თბილისქალაქმშენის“ № 15 ტრესტის მშენებელთა კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ტ. ი. ქართველიშვილი. (საქინფორმი).

მეცხოველეობის ახალი აღმავლობისათვის საჭიროა, რომ მთელმა პარტიამ, ყველა ჩვენმა სამინისტრომ და უწყებამ, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებმა, სოფლის ყველა მშრომელმა მკვეთრად გაზარდონ ყურადღება ამ დარგისადმი.

ლ. ი. ბრეჟნევი.

ᲛᲐᲢᲘᲐᲜᲔ: ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲣᲡᲐᲗᲕᲘᲡᲓ ᲛᲐᲦᲐᲚᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲝ

ᲧᲠᲘᲚᲝᲒᲘᲡᲬᲘᲜᲐ ᲓᲐᲗᲕᲐᲚᲘᲔᲠᲔᲑᲐᲖᲔ ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲝᲑᲐ: ᲮᲝᲠᲪᲘᲡ,



ᲐᲛᲐᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲐᲮᲐᲠᲔᲚᲘ ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲒᲨᲘᲠᲘ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠ ᲨᲔᲯᲐᲠᲘᲡᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲠᲓᲜᲔᲜ. ᲐᲛ ᲪᲜᲝᲑᲐᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲐᲦᲤᲠᲗᲝᲕᲐᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲘᲡ ᲑᲘᲚᲕᲐᲩᲐᲣᲠᲘᲡ ᲠᲐᲝᲜᲘᲡ ᲯᲘᲨᲘᲡᲮᲘᲡᲐᲜᲨᲘᲡ ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲑᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲔᲑᲘ. ᲙᲐᲑᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲐᲗᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲠᲓᲜᲔᲜ ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲑᲘ — ᲐᲮᲐᲠᲘᲡ ᲐᲮᲚ ᲠᲘᲡᲞᲘᲡᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲔ�პᲣᲢᲐᲢᲘ Ნ. ᲑᲔᲠᲘᲫᲔ, ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡᲢᲘ Ლ. ᲑᲐᲡᲘᲚᲐᲫᲔ, Გ. ᲙᲐᲯᲐᲩᲐᲫᲔ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲗᲐᲗᲐᲕᲘᲡᲨᲘ ᲩᲐᲣᲓᲒᲜᲘᲜ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐᲡ ᲡᲚᲙᲐ XXVI ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ XXVI ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲘᲠᲘᲡᲔᲣᲚᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲛᲔᲝᲠᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲡᲐᲒᲔᲒᲛᲝ 110 ᲢᲝᲜᲘᲗ ᲜᲐᲪᲕᲚᲐᲓ 122,8 ᲢᲝᲜᲐ ᲠᲫᲔ ᲛᲘᲘᲦᲝ. ᲓᲦᲔᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲝᲠᲔᲜᲝᲑᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐᲐ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲛᲔᲢᲔᲑᲘᲗᲘᲗ ᲓᲐᲐᲛᲬᲐᲠᲔᲜ ᲞᲘᲠᲣᲢᲧᲕᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲯᲐᲚᲘ. ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲛᲬᲧᲐᲜᲔ ᲐᲘᲒᲚᲘᲡ ᲡᲐᲯᲘᲜᲔᲡᲘ.

Ⓝ. ᲐᲜᲐᲡᲢᲐᲡᲘᲔᲕᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ (ᲡᲐᲭᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ).



ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: ᲒᲐᲠᲓᲐᲑᲜᲘᲡ ᲠᲐᲝᲜᲘᲡ ᲜᲝᲠᲩᲝᲘᲡ ᲛᲔᲤᲠᲘᲜᲕᲔᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲘᲡ ᲛᲔᲘᲜᲓᲐᲣᲠᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐᲨᲘ.

ᲬᲚᲔᲣᲚᲡ ᲐᲑᲐᲨᲔᲚᲘ ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲘᲠᲘᲡᲔᲣᲚᲘ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲩᲐᲘᲚ, ᲪᲘᲢᲠᲣᲡᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲣᲑᲢᲠᲝ�პᲘᲣᲚᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲣᲜᲗᲘ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲚᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. ᲜᲐᲠᲘᲜᲯᲝᲕᲐᲜᲗᲐ ᲑᲐᲦᲔᲑᲘᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲨᲔᲛᲣᲨᲐᲕᲚᲔᲑᲐ ᲐᲠᲪ ᲡᲐᲮᲝᲒᲐᲓᲝᲠᲘᲡ ᲤᲔᲠᲛᲔᲑᲘ, ᲒᲐᲐᲣᲛᲯᲝᲑᲘᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲘᲗᲣᲢᲧᲣᲚᲘᲡ ᲯᲘᲨᲘ, ᲡᲐᲙᲕᲔᲑᲘ ᲑᲐᲖᲐ.

ᲛᲔᲝᲗᲔ ᲮᲣᲗᲬᲚᲘᲬᲐᲓᲨᲘ ᲒᲐᲘᲨᲚᲐ ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔᲚᲘᲡᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲗᲐᲛᲘᲜᲘᲗ. ᲘᲡᲘᲜᲘ ᲣᲐᲠᲡ ᲐᲛᲑᲝᲑᲜᲔᲑᲓᲜᲔᲜ ᲮᲝᲠᲪᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝ ᲓᲝᲢᲐᲪᲘᲐᲖᲔ ᲓᲐ ᲤᲘᲥᲠᲝᲑᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲮᲝᲠᲪᲘᲗ ᲓᲐᲐᲪᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲓᲜᲔᲜ ᲛᲘᲡᲘ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲠᲐᲝᲜᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲔᲚᲘᲡᲐ. ᲠᲝᲒᲝᲠ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲡ ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔᲚᲘᲡᲔᲑᲛᲐ ᲐᲛ ᲗᲐᲜᲮᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲠᲐ ᲨᲔᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲐᲪᲘᲠᲔᲑᲓᲜᲔᲗ ᲛᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲧᲝᲤᲐᲡ? ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲒᲕᲔᲮᲐᲣᲑᲠᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲙᲝᲛᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ ᲐᲮᲛ. Ⓓ. ᲓᲕᲐᲚᲘᲫᲔᲡᲘᲚᲘ.

— **ᲩᲕᲔᲜᲘ** ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲖᲐᲖᲔ ᲕᲔᲠᲪᲮᲚᲘᲡᲬᲘᲜᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲐᲦᲤᲠᲗᲝᲕᲐᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲐᲛ ᲪᲜᲝᲑᲐᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲐᲦᲤᲠᲗᲝᲕᲐᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲛᲧᲕᲐᲜᲘᲗ. ᲜᲐᲠᲘᲜᲯᲝᲕᲐᲜᲗᲐ ᲑᲐᲦᲔᲑᲘᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲨᲔᲛᲣᲨᲐᲕᲚᲔᲑᲐ ᲐᲠᲪ ᲡᲐᲮᲝᲒᲐᲓᲝᲠᲘᲡ ᲤᲔᲠᲛᲔᲑᲘ, ᲒᲐᲐᲣᲛᲯᲝᲑᲘᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲘᲗᲣᲢᲧᲣᲚᲘᲡ ᲯᲘᲨᲘ, ᲡᲐᲙᲕᲔᲑᲘ ᲑᲐᲖᲐ.

ᲛᲔᲝᲗᲔ ᲮᲣᲗᲬᲚᲘᲬᲐᲓᲨᲘ ᲒᲐᲘᲨᲚᲐ ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔᲚᲘᲡᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲗᲐᲛᲘᲜᲘᲗ. ᲘᲡᲘᲜᲘ ᲣᲐᲠᲡ ᲐᲛᲑᲝᲑᲜᲔᲑᲓᲜᲔᲜ ᲮᲝᲠᲪᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝ ᲓᲝᲢᲐᲪᲘᲐᲖᲔ ᲓᲐ ᲤᲘᲥᲠᲝᲑᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲮᲝᲠᲪᲘᲗ ᲓᲐᲐᲪᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲓᲜᲔᲜ ᲛᲘᲡᲘ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲠᲐᲝᲜᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲔᲚᲘᲡᲐ. ᲠᲝᲒᲝᲠ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲡ ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔᲚᲘᲡᲔᲑᲛᲐ ᲐᲛ ᲗᲐᲜᲮᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲠᲐ ᲨᲔᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲐᲪᲘᲠᲔᲑᲓᲜᲔᲗ ᲛᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲧᲝᲤᲐᲡ? ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲒᲕᲔᲮᲐᲣᲑᲠᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲙᲝᲛᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ ᲐᲮᲛ. Ⓓ. ᲓᲕᲐᲚᲘᲫᲔᲡᲘᲚᲘ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲛᲔ

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲤᲝᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲖᲐᲖᲔ ᲯᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲐᲓ ᲓᲘᲓᲘᲜᲨᲕᲜᲔᲚᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲩᲐᲘᲚ, ᲪᲘᲢᲠᲣᲡᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲣᲑᲢᲠᲝ�პᲘᲣᲚᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲣᲜᲗᲘ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲚᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. ᲜᲐᲠᲘᲜᲯᲝᲕᲐᲜᲗᲐ ᲑᲐᲦᲔᲑᲘᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲨᲔᲛᲣᲨᲐᲕᲚᲔᲑᲐ ᲐᲠᲪ ᲡᲐᲮᲝᲒᲐᲓᲝᲠᲘᲡ ᲤᲔᲠᲛᲔᲑᲘ, ᲒᲐᲐᲣᲛᲯᲝᲑᲘᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲘᲗᲣᲢᲧᲣᲚᲘᲡ ᲯᲘᲨᲘ, ᲡᲐᲙᲕᲔᲑᲘ ᲑᲐᲖᲐ.

ᲛᲔᲝᲗᲔ ᲮᲣᲗᲬᲚᲘᲬᲐᲓᲨᲘ ᲒᲐᲘᲨᲚᲐ ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔᲚᲘᲡᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲗᲐᲛᲘᲜᲘᲗ. ᲘᲡᲘᲜᲘ ᲣᲐᲠᲡ ᲐᲛᲑᲝᲑᲜᲔᲑᲓᲜᲔᲜ ᲮᲝᲠᲪᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝ ᲓᲝᲢᲐᲪᲘᲐᲖᲔ ᲓᲐ ᲤᲘᲥᲠᲝᲑᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲮᲝᲠᲪᲘᲗ ᲓᲐᲐᲪᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲓᲜᲔᲜ ᲛᲘᲡᲘ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲠᲐᲝᲜᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲔᲚᲘᲡᲐ. ᲠᲝᲒᲝᲠ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲡ ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔᲚᲘᲡᲔᲑᲛᲐ ᲐᲛ ᲗᲐᲜᲮᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲠᲐ ᲨᲔᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲐᲪᲘᲠᲔᲑᲓᲜᲔᲗ ᲛᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲧᲝᲤᲐᲡ? ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲒᲕᲔᲮᲐᲣᲑᲠᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲙᲝᲛᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ ᲐᲮᲛ. Ⓓ. ᲓᲕᲐᲚᲘᲫᲔᲡᲘᲚᲘ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲛᲬᲣᲗᲐᲠᲝ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲒᲚᲐᲡ ᲠᲐᲝᲜᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲖᲐᲖᲔ ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ 1974 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔᲚᲔᲑᲘᲡ 1960 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲜ ᲨᲔᲓᲐᲠᲔᲑᲘᲗ 1974 ᲬᲚᲘᲡ ᲝᲠᲯᲔᲠ ᲣᲤᲠᲝ ᲜᲐᲚᲘᲡ ᲮᲝᲠᲪᲘ ᲩᲐᲐᲑᲐᲠᲔᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝᲡ.

ᲡᲐᲒᲣᲚᲘᲡᲮᲛᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲛᲐᲕᲔ ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲤᲐᲥᲢᲝᲠᲘᲜᲒᲐᲓ ᲗᲐᲕᲛᲘᲜᲔᲑᲘᲗᲘ ᲘᲧᲝ ᲛᲝᲛᲗᲐᲑᲐᲠᲘ ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲒᲐᲜᲒᲝ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲣᲜᲗᲘ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲚᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲩᲐᲘᲚ, ᲛᲘᲢᲝᲛ ᲠᲝᲛ ᲐᲠᲐᲡᲐᲠᲔᲑᲘᲗᲘ ᲠᲝᲚᲘ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲐ. XVIII ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲡᲐᲮᲔᲛ�წᲘᲤᲝᲖᲔ ᲙᲕᲘᲠᲪᲮᲘᲡ ᲛᲘᲪᲘᲓᲐ ᲒᲐᲓᲘᲓᲓᲐ 72,4 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲗ, ᲮᲝᲠᲪᲘᲡᲐ ᲙᲘ 31,8 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲗ, 1,6-ᲯᲔᲠ ᲒᲐᲘᲖᲐᲠᲓᲐ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐᲖᲔ ᲔᲠᲗᲯᲔᲠᲓᲘᲐᲜᲘ ᲬᲘᲜᲬᲚᲘᲡ ᲛᲘᲪᲘᲓᲐ.

ᲒᲐᲝᲖᲐᲠᲓᲐ ᲡᲘᲛᲫᲚᲐᲕᲠᲔᲑᲘ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲠᲔᲑᲣᲚ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲔᲑᲨᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲔᲑᲨᲘ. ᲛᲬᲧᲝᲑᲠᲨᲘ ᲩᲐᲓᲒᲐ 4 ᲠᲔᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲝᲠᲘ, ᲠᲐᲪ ᲒᲐᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲓᲐ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲔᲑᲨᲘ. ᲛᲘᲐᲪᲮᲝᲕᲔᲡ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲒᲚᲐᲡ ᲠᲐᲝᲜᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲔᲚᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲓᲐᲐᲛᲬᲐᲠᲔᲡ ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲛ, ᲞᲠᲝᲤᲡᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲛ ᲓᲐ ᲐᲚᲙᲙ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲛᲐ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲛᲐᲪ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲔᲡ 1979-1980 ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲖᲐᲛᲗᲠᲘᲡ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲦᲘᲓᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲤᲔᲠᲛᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲗᲐ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲘ, ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲐᲓ ᲪᲜᲔᲡ ᲚᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲓᲣᲨᲔᲗᲘᲡ ᲠᲐᲝᲜᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲛᲐᲪ ᲬᲚᲔᲣᲚᲡ 7 �თᲕᲔᲨᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ 15 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲰᲔᲥᲢᲐᲠᲘ ᲠᲫᲔ. ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲘᲗ ᲒᲐᲐᲠᲗᲣᲚᲓᲐ ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲠᲔᲠᲘᲚᲘᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲝᲚᲘ ᲠᲝᲛ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲰᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲦᲔᲡ ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲝᲚᲘ ᲠᲝᲛ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲰᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲦᲔᲡ ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠ

გასდება მოწინავე, ბის რესპუბლიკა!

რძის, კვერცხის წარმოება...

პარტიის XXVI ყრილობისათვის

რესპუბლიკაში მეცხოველეობის სამრეწველო საწყისებზე გადაყვანას დასაბამი მისცა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის XVIII პლენუმმა, რომელმაც მეცხოველეობის განვითარების სხვა საკითხებთან ერთად განიხილა და დამტკიცა მეცხოველეობის მსხვილი სამრეწველო კომპლექსების შენებლობის ღონისძიებები. ამავე საკითხებს მიეძღვნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის XX პლენუმი, რომელმაც მიიღო მეცხოველეობის განვითარების ფართო პროგრამა მეთერთმეტე ხუთწლედისათვის. როგორ დაიწყო რესპუბლიკაში მეცხოველეობის სამრეწველო რელსებზე გადაყვანა და რა მდგომარეობაა დღეს? გაზეთ „კომუნისტის" კორესპონდენტმა ამ კითხვაზე პასუხის გაცემა თხოვა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცხოველეობის რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანების „საქცხოველმრეწვის" თავმჯდომარეს ჯ. ჩხაიძეს.

მეცხოველეობის კომპლექსების მშენებლობამ დღის წესრიგში დააყენა ერთიანი ტექნიკური და ტექნოლოგიური პოლიტიკის განხორციელების აუცილებლობა. ამ მიზნით 1976 წლის დასაწყისში შეიქმნა მეცხოველეობის რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება „საქცხოველმრეწვი", რომელსაც დაუქვემდებარდა მეცხოველეობის მსხვილი სახელმწიფო კომპლექსები და სანაშენე საბჭოთა მეურნეობები, მიმდინარე წლის პირველი ივნისისათვის „საქცხოველმრეწვის" დაქვემდებარებაში იყო 36 კომპლექსი და საბჭოთა მეურნეობა, მათ შორეს მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ხორცის წარმოების, მეღორეობის, რძის წარმოების, სანაშენე დეკეულების გამოსაზრდელი 15 სახელმწიფო კომპლექსი.

გარდა ამისა, კიდევ შენდება დეკეულების გამოსაზრდელი, რძის წარმოებისა და მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ხორცის წარმოების კომპლექსები. „საქცხოველმრეწვს" ეკუთვნის აგრეთვე 9 სახელმწიფო ჯიშთსაშენი 24 ხელოვნური დათესვლისა და სანაშენე სადგური, 18 ხელოვნური დათესვლის სამეურნეობათაშორისო გაერთიანება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ გაითვალისწინა განვლილ ორ წელიწადში „საქცხოველმრეწვის" კარგი მაჩვენებლები, აგრეთვე მეცხოველეობის კომპლექსების ერთიანი ტექნიკური და ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფის აუცილებლობა და ჩვენ დაგვიქვემდებარა კიდევ სხვადასხვა მიმართულების მეცხოველეობის 38 სახელმწიფო და სამეურნეობათაშორისო კომპლექსი.

სამრეწველო საფუძველზე

1976 წლის მაჩვენებლებთან შედარებით 1979 წელს ხორცის წარმოება გაიზარდა 3900 ტონით, ჩაბარება — 2707 ტონით, გაიზარდა აგრეთვე რძის წარმოება და ჩაბარება.

1979 წელს 1978 წელთან შედარებით მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა გაიზარდა 4729 სულით, აქედან ფურისა — 2290 სულით, ღორისა — 14470 სულით, ცხვრისა — 8490 სულით.

პირუტყვის მოვლის, შენახვისა და კვების ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესების შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა საქონლის პროდუქტიულობა. ერთი ფურის წველადობა 1978 წელთან შედარებით გაიზარდა 70 კილოგრამით, ერთი ფური საშუალოდ 2141 კილოგრამს იწველის, რაც 519 კილოგრამით სჭარბობს საშუალო რესპუბლიკურ მაჩვენებელს.

შარშან ვაწარმოეთ 10136 ტონა ხორცი, 21123 ტონა რძე და 360 ტონა მატყლი. სულ ფუალადი გამოხატულებით სისტემის მეურნეობებმა აწარმოეს 36504 ათასი მანეთის პროდუქცია. ეს კი მთელი 22 პროცენტით მეტია, ვიდრე 1978 წელს წარმოებული პროდუქცია.

ერთი წლის განმავლობაში ხორცის წარმოება 1978 ტონით, ხოლო რძისა 1990 ტონით გაიზარდა. შესაბამისად გაიზარდა სახელმწიფოსათვის ამ პროდუქტების მიყიდვაც.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა წარმოებული პროდუქციის ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებას. 1979 წელს სახელმწიფოსათვის მიყიდული ხორცის 47 პროცენტი კარგი ხარისხის იყო, ხოლო მიყიდული რძის 67 პროცენტი კი პირველი ხარისხისა.

მარტო 1979 წელს 1978 წელთან შედარებით ცენტნერი მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ხორცის წარმოებაზე საკვების დანახარჯები შემცირდა 2,5 ცენტნერი საკვები ერთეულით, რძის წარმოებაზე — 0,18 ცენტნერით, შრომის დანახარჯები ხორცის წარმოებაზე — 17 და რძის წარმოებაზე — 1 კაცსაათით.

ამასთანავე, მკვეთრად შემცირდა ხორცისა და რძის წარმოების თვითღირებულება, ჯერჯერობით გადასაჭრელია ზოგიერთი პრობლემა. უწინარეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი მოწყობილობის საწარმოო სიმძლავრეს დაწესებულ ვადებში ვერ ვითვისებთ, ბევრი კომპლექსი უზრუნველყოფილი არ არის საკუთარი საკვები ბაზით, არასრულფასოვანი კვების შედეგად სასურველი არ არის ფურების პროდუქტიულობა, საშუალო სადღეღამისო წონამატება.

გარდა ამისა, საექსპლოატაციოდ გადაცემისას კომპლექსებს ხშირად იმდენი დეფექტი აქვს, რომ მათს გამოსწორებას 5-6 თვე და ხშირად ერთი წელიც კი სჭირდება, ცხადია, ამგვარ პირობებში კომპლექსებში პირუტყვის შეყვანა შეუძლებელი ხდება და მისი სრული დატვირთვით ამუშავების ვადები ჩვენდაუნებურად შეუწყარებლად ჭიანურდება.

რა თქმა უნდა, კომპლექსების სიმძლავრეთა ათვისებას ისიც უშლის ხელს, რომ ზოგჯერ არ გვყოფნის კვალიფიციური სპეციალისტები და მეცხოველე ოპერატორები. სრულიად შეუწყნარებელია ისიც, რომ კომპლექსებში არა გვაქვს საკმარისი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, რის შედეგადაც იკარგება საკვებმოპოვების გაზრდის შესაძლებლობები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 30 მაისის დადგენილებით „საქცხოველმრეწვის" სისტემას კიდევ დაუქვემდებარდა 38 კომპლექსი. ამის შემდეგ ჩვენს სისტემაში იქნება 64 კომპლექსი და საბჭოთა მეურნეობა. თუ გავითვალისწინებთ, რომ მეთერთმეტე ხუთწლედში აშენებული ყველა სახელმწიფო კომპლექსი „საქცხოველმრეწვს" დაუქვემდებარდება და სრული სიმძლავრითაც ამოქმედდება, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ რძისა და ხორცის წარმოების წლევანდელი დონე 1985 წლისათვის ერთიორად ამაღლდება და ამით მნიშვნელოვნად გაიზრდება სამრეწველო მეცხოველეობის წვლილი მთლიან წარმოებაში.

საუბარი ჩაიწერა.

ჯ. ჟურხულმა.

მწყემსური

საქართველოს ხუთ მთიან რაიონს — ყაზბეგის, დუშეთის, ლენინგორის, ჯავისა და თიანეთის რაიონებს ყოველ შემდგომზე ცხვარი მიუდის საზაფხეთო საძოვრებიდან დაღესტნისაკენ... ცხვარი თითქმის ცხრა თვე ზამთრობს საძოვრებზე, სადაც სპეციალური, სახელმწიფოსაგან გამოყოფილი, ეგრეთ წოდებული გადასარეკი ტასარის ბალნიცა ბიშეურება. ხსენებული ტასარა 600 კილომეტრს აღემატება... ცხვრის გადარეკვა ოქტომბრიდან იწყება და დაახლოებით თვენახევარს გრძელდება.

თქმა არ უნდა, ცხოვრება ეთთარდება და ამ მხრივაც მწყემსთა საცხოვრებელმა პირობებმა მკვეთრი ცვლილებები განიცადა — წინანდელი მიწურების ნაცვლად უკანასკნელ წლებში მათთვის აშენდა 50-მდე ახალი საცხოვრებელი ბინა, 30-მდე ფარეხი. მწყემსებს დაუდგეს გაზქურა, გაუუმჯობესეს სამედიცინო მომსახურება, ამაღლდა კულტურული მომსახურების დონე. სწორი, პრინციპული მიდგომით დაკომპლექტდა კადრები... ზოგიერთ ზარმაცს საკადრისი მიეზღო, ადრე ჩრდილში დარჩენილ გამჯრე ადამიანებს უფრო ფართო ასპარეზი მიეცა სამოქმედოდ...

როგორც ზემოთ ითქვა, სასიხარულოა იმის შეგნება, რომ ყოველი დღე, ყოველი წუთი წინა დღეზე და წუთზე ბარაქიანი და უმჯობესია. მიღწეული წარმატებების შესახებ ლაღადებენ ციფრობრივი მონაცემები. უკანასკნელ ორ წელიწადში საკვების მოპოვების მკვეთრ გაუმჯობესებას მიაღწიეს აქაურმა მშრომელებმა. 1976-77 წლებში ყიზლარის საძოვრები რესპუბლიკის რესურსებიდან ღებულობდა პირუტყვის გამოსაკვებ ნამჯას, ეს მაშინ, როცა 1978 წელს აქაურმა სპეციალისტებმა 72.000 ტონა უხეში საკვები დაამზადეს, საიდანაც 35000 ტონა პირიქით, — რესპუბლიკის რაიონების მეცხოველეებს გამოეგზავნათ. მიუხედავად იმისა, გასული წელი საკმაოდ გვალვიანი იყო, 46.500 ტონა უხეში საკვების დამზადება ძალიც მოახერხეს ყიზლარელებმა და რესპუბლიკას 12000 ტონა საკვები უწილადეს.

1980 წლის ივნისის პირველი რიცხვებია, ვინ იცის უკვე შემადგენელ დაიძრა ცხვარი საქართველოსკენ, — საზაფხულო იალაღებისაკენ... განსაკუთრებით წლეულს მეტად ნაყოფიერი დღლი ჩატარდა... ყოველ 100 ნერბზე 91,5 სული ბატკანია მიღებული. ეს 8,7 პროცენტით მეტია, ვიდრე შარშანდელი მაჩვენებელი. გულს უხარია იმის გაგება, რომ ნამატის ასეთი პროცენტით შენარჩუნება ყიზლარმა სასოდეს არ ყოფილა. რაიონების მიხედვით ნამატის პროცენტი ასეთია: ლენინგორის რაიონში ყოველ ას სულ დედა-ცხვარზე მიიღო 94 პროცენტი ნამატი, დუშეთის რაიონში — 92 პროცენტი, ყაზბეგისამ — 91,1 თიანეთისამ — 83, ჯავისამ —93 პროცენტი.

ნოღაეთის ტრამალებში მყოფი ქართველი მშრომელი კაცის ეს შრომითი მიღწევა არ გახლავთ მხოლოდ ერთეული ადამიანის დამსახურება — იგი ყველას ეკუთვნის: მეცხვარეს თუ მრწყველს, დარეტორსა თუ მძღოლს, მთიბველსა თუ ზეინკალს.

მარტო იმის თქმა რად ღირს, რომ ცხვრის დაცემა შარშანდელთან შედარებით 4000 სულამდეა შემცირებული. პირსაკაცა, — შარშანდელთან შედარებით 250-300 გრამით მეტი მატყლია მიღებული (ლენინგორის რაიონის მეცხვარეებმა თითოეულ სულზე მიიღეს 1 კგ. და 800 გრ. მატყლი, რაც ჯამში შარშანდელთან შედარებით 28 ტონით მეტია; დუშეთის რაიონმა ერთი სული ცხვრის ნაპარსიდან 1 კილოგრამი და 500 გრამი მატყლი მიიღო, ანუ გასულ წელიწადთან შედარებით 25 ტონით მეტი მაღალპროდუქტიული მატყლი...).

მოზდოკ-ორჯონიკიძის გზას მივუყვებით... იმ წვიმს, მანქანიდან არაფერი მოჩანს... ხალხურ საკრავთა ტრიოს ხელმძღვანელს მიხეილ ჩულუხიძეს ორი სალამური უკავია, ლარისა ღვამბერიასა და მარინე გიორგაძეს ეუბნება — ფანდურები აიღეთ, სანამ ადგილზე ჩავალთ, სიმღერებიც გავიმეოროთ, თან გზაც შემოკლდება. მანქანის ზუზუნსა და წვიმის შხაპუნს უერთდება სიმღერა და სიტყვები: „ბორბალოს მწვერვალზე ამ მკერდით გატარებ, ავდარში დაგიცავ მეცხვარის ნაბდითა..." ტრიოს წევრები ოცულ ახალგაზრდები არიან, — მიხეილ ჩულუხიძე თვრამეტი წლისაა, ლარისა ღვამბერია და მარინე გიორგაძე კი ოცდაორ-ოცდაორი წლისანი...

სოფელ ვოზნესენსკიდან გზა მომცრო უღელტეხილს დაუყვა, გროზნო-მალგობეკ-ორჯონიკიძის გზაჯვარედინს გავცდით, მარცხნივ, ტრიალ მინდორში გადაუხვიეთ და ბორბლებზე შემდგარ ვაგონ-საცხოვრებელს მივუახლოვდით, საიდანაც ძველებური ლამფის შუქი გამოჩროდა... ეს გახლდათ საქართველოს სსრ ვეტდივიზიონის (უფროსი — ვაჟა ტაბატაძე) პუნქტი... ხსენებულ დივიზიონში რამდენიმე ათეული მილიციელია გაერთიანებული, მათი პატარ-პატარა პუნქტები განლაგებულია გადმოსარეკ ტრასაზე და ამგვარად ისინი იცავენ და უზრუნველყოფენ ცხვარ-მეცხვარეს ყოველგვარი ხელყოფისაგან....

ისევ წვიმს. ფილარმონიის მსახიობები, ვეტდივიზიონის წევრები: ლაფერაშვილი ომარი, ბუცხრიკიძე როლანდი, სოფრომაძე მერმანი, მამადაშვილი ნუკრი და ლენინგორელი მწყემსები, როგორღაც თავსდებიან ვაგონში... ხალხურ საკრავთა ტრიო კონცერტს ატარებს, გაისმის თუშური მელოდიები... თუმც სვიფწროვეა, თუმცა გარეთ კოკისპირულად წვიმს, განწყობა ნაღდი და მხიარულია. ბოლოს, ტაშ-ფანდურიც ჩაღდება, მომცრო წრეში ლენინგორის რაიონის სოფელ დადიანეთის კოლმეურნეობის მწყემსები გამოდიან...

ზემოხსენებული კოლმეურნეობის I ბრიგადის ბრიგადირმა ვასილ ბერიანიძემ 100 ნერბიდან 99 პროცენტი ნამატი მიიღო...

მწყემსთა მოღლილ, მაგრამ მხიარულ სახეებს შევცქერი, — ამგვარ ცუდ ამინდში მათს სულში ჩაწოლილი უგუნებობა დღევანდელი სახელდახელო, პატარა კონცერტით ერთგვარად გაქარვეს მსახიობებმა.

● ●

აჰა, უკვე დაცარიელდა ყიზლარის ზამთრის საძოვრები... თუმცა სიტყვა „დაცარიელება" პირობითად შეიძლება კაცმა იხმაროს, რადგან საძოვრებზე ცხვრის გარკვეული რაოდენობა მაინც რჩება და, რაც მთავარია, სწორედ ზაფხულის პერიოდში მუშაობს მთელი დატვირთვით ყიზლარის ზამთრის საძოვრების მართვის გაერთიანება... ამ ცხელ, ქარიან პერიოდში ტრამალებში შეუსვენებლივ მუშაობენ სათიბელები, ტრაქტორები, მრწყველები... მიმდინარეობს გამალებული მზადება ზამთრისათვის... არც ერთი დღით არ უნდა შეფერხდეს თივისა და უხეში საკვების დამზადება... საკვებმომპოვებლები „საქსოფლტექნიკის" მექანიზატორებთან ერთად უკვე გაუხურებენ შრომაში არიან ჩაბმული... ამჟამად უკვე 15 000 ჰექტარი ფართობია მორწყული.

● ●

გარდა მიღწეული წარმატებებისა სიტყვა უნდა ითქვას ყიზლარის ზამთრის საძოვრების ზოგიერთი პრობლემის შესახებაც...

ტრამალებში გაყვანილია 30 და 20-კილომეტრიანი მაგისტრალური არხი, რომელთაც არ გააჩნიათ სათავე ნაგებობები და ფაქტიურად არაფრის მომცემია... „საქმთავარენერგოს" დასაპროექტებელი და ასაშენებელი აქვს 200 კმ. სიგრძის მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი... ის რაც გაყვანილია — ნაწილი დაუპროექტებელი და დაუმთავრებელია... ამასთანავე, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს უნდა შეესწავლა ყიზლარში აეროდრომის მშენებლობის საკითხი... ეს ამბავი ტრამალებში მომუშავე ყველა მეცხვარისა და სპეციალისტისთვისაა ცნობილი და მოუთმენლად ელოდებიან ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტას, რადგან ექვსას კილომეტრზე წინ და უკან სიარული ზმირად უხდებათ როგორც თბილისიდან ჩამოსულ სპეციალისტებს, ასევე ყიზლარში მყოფ მშრომელებსაც...

ჯ. დავლიანიძე.





მტკიცდება მეგობრობა

ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობს საბჭოთა კავშირ-ინდოეთის მეგობრობის ერთთვიური, რომელიც აღინიშნა ინდოეთის დამოუკიდებლობის 33-ე წლისთავს და სსრ კავშირისა და ინდოეთის რესპუბლიკის მშვიდობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების მე-9 წლისთავს. ერთთვიურის ფარგლებში 26 აგვისტოს მოსკოვში მოეწყო მეგობრობის საღამო.

საღამოზე გამოსულები ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ საბჭოთა ადამიანებს გულწრფელად ახარებთ ინდოელი ხალხის წარმატებები პროგრესული გარდაქმნების განხორციელებაში. აქ გამოითქვა რწმენა, რომ საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის მეგობრობა და ნაყოფიერი თანამშრომლობა ყველაკეთ განვითარდება ორივე ქვეყნის ხალხთა საკეთილდღეოდ, საყოველთაო მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების საკეთილდღეოდ.

საღამოში მონაწილეობა მიიღო ინდოეთ-საბჭოთა კავშირის კულტურული საზოგადოების ეროვნული საბჭოს დელეგაციამ ინდოეთის პარლამენტის სახალხო პალატის წევრის ვ. გაღგილის მეთაურობით.

საბჭოთა კავშირ-ინდოეთის მეგობრობისადმი მიძღვნილი საღამოები და კრებები ეწყობა ჩვენი ქვეყნის ყველა რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში.

✦✦

ყველაზე დიდი მჯერი

ილლამაბადი, 27 აგვისტო. „ამერიკის შეერთებული შტატები მუსლიმანური სამყაროს ყველაზე დიდი მტერია. მუსლიმანური ქვეყნები უნდა გაერკვნენ, ვინ არის მათი ნამდვილი მეგობარი და ვინ მტერი".

ამ სათაურით ადგილობრივმა გაზეთმა „თამირმა" გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც მწვავედ არის გაკრიტიკებული ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკა ირანისა და აღლანეთის მიმართ,

„ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, — ნათქვამია სტატიაში, — ირანში საბჭოთა კავშირის საზღვარზე, შექმნა თავისი ჯაშუშური სამხედრო ბაზების ქსელი, რომლებიც ლიკვიდირებული იყო ირანის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ. მაგრამ ვაშინგტონის ხრიკები არ შეწყვეტილა. ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობს ირანში დაამკვიდროს პრო-ამერიკული რეჟიმი და კვლავინდებურად გამოიყენონს ეს ქვეყანა თავისი იმპერიესებისათვის. ამერიკელებს ეშინიათ, ირანის რევოლუციამ გავლენა არ მოახდინოს სპარსეთის ყურის სახელმწიფოებზე. ამიტომ ისინი ზრდიან თავიანთ ძალიერებას მსოფლიოს ამ რაიონში, ზემოქმედებას ახდენენ ირანის რევოლუციაზე, იცავენ რეაქციულ არაბულ რეჟიმებს, იბრძვიან იმისათვის, რომ თავიანთი სამხედრო ბაზები განალაგონ ინდოეთის ოკეანის აუზის ზოგიერთ სახელმწიფოში".

მოკლედ

ყოველი მხრიდან

27 აგვისტო

● **პანოი**, ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის 200-ზე მეტი საწარმოო კოლექტივი დაჯილდოვდა სხვადასხვა ხარისხის „შრომის" ორდენებით. სპეტიო ჯილდოები მათ მიენიჭათ სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულებასა და ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტაში მოპოვებული წარმატებებისათვის.

● **ლონდონი.** ფასებისა და უმუშევრობის განუწყვეტელი ზრდა ახასიათებს ახლანდელ მდგომარეობას დიდ ბრიტანეთში, განაცხადა ლეიბორისტული პარტიის ლიდერის მოადგილემ მაიკლ ფუტმა. წინასწარი გამოანგარიშებით, ინგლისში უმუშევართა რიცხვი მიმდინარე წლის აგვისტოში მთელი ომის შემდგომი პერიოდის მანძილზე მიაღწევს რეკორდულ დონეს — 2 მილიონს.

● **ამანი.** მდინარე იორდანის ოკუპირებული დასავლეთი ნაპირის სამხედრო ხელისუფლებამ ოფიციალურად გამოაცხადეს პალესტინელი არაბების კუთვნილი მიწების მორიგი კონფისკაცია. ამჯერად, როგორც ისრაელის რადიო იუწყებოდა, კონფისკაციას ექვემდებარება ქალაქ რამალაჰის მახლობლად მდებარე 80 ჰექტარი მიწის ნაკვეთები.

საერთაშორისო ცხოვრება
ლექციების ფურცელი

სალვადორის ამბები

მასობრივი შეტევა პროფკავშირებზე

სან-ხოსე, 27 აგვისტო. სალვადორის ხუნტამ ახალი ნაბიჯი გადადგა ანტიხალხური რეპრესიების ესკალაციის გზით — დაიწყო მასობრივი შეტევა პროფკავშირებზე. გაფიცვებში მშრომელთა მასობრივი მონაწილეობისათვის ანგარიშის გასასწორებლად ხუნტამ ნამდვილი ნადირობა მოაწყო პროფკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელებსა და აქტივისტებზე. სახელმწიფო ელექტროკომპანიის მუშების ამასწინანდელ გაფიცვაში მონაწილეობისათვის დასატანჯრებულია ასზე მეტი კაცი.

გაფიცვას 17 ხელმძღვანელი, როგორც გამოაცხადეს, 100 ათასი სახელმწიფო მოსამსახურის ჯარში გაწვევის კანონის შესაბამისად, სამხედრო ტრიბუნალის წინაშე წარსდგება.

იმ მიზნით, რომ აღკვეთონ მოსალოდნელი გაფიცვები მომავალში, თავდაცვის მინისტრმა პოლკოვნიკმა გარსიამ, რომელმაც მობილიზაციის კანონის შესაბამისად შეუზღუდავი უფლებები მიიღო, რადიოთი განაცხადა, რომ ნებისმიერი მიზეზით სამუშაოზე გამოუცხადებლობის გამო დამნაშავეს დასჯიან ოთხი წლის პატიმრობით.

„წესრიგის" დამყარებისათვის ხუნტამ დედაქალაქში თავი მოუყარა ათასობით ჯარისკაცს. არმიის, პოლიციისა და ულტრამემარჯვენე საერთაშორისო ვითარება, გაანალიზებულია კოლუმბიის პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა, ქვეყნის მშრომელთა და მთელი ხალხის ბრძოლა თავიანთი უფლებებისა და დემოკრატიისათვის, პროფკავშირული მოძრაობის ერთიანობისათვის, განხილულია პარტიის საორგანიზაციო პრობლემები და სხვა საკითხები.

უახლესი კვირების მანძილზე მთელ ქვეყანაში მოეწყობა პატრიოტული კონფერენციები, რომლებზეც აირჩევენ ყრილობის დელეგატებს. მის სამზადისთან დაკავშირებით უკვე გამოდის სპეციალური ბიულეტენი „XIII ყრილობის ტრიბუნა", რომელშიც პარტიის ხელმძღვანელები და რიგითი წევრები თავიანთ აზრს გამოთქვამენ „პოლიტიკური თეზისების პროექტში" ჩამოყალიბებული პრობლემების გამო.

კოლუმბიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ალმასკიმის წევრობის კანდიდატი თეოფილო ფორერო სტატიაში, რომელიც გაზეთმა „ვოს პროლეტარიამ" გამოაქვეყნა, წერს, რომ კომუნისტებმა, რომლებიც თავიანთი ყრილობისათვის ემზადებიან, უნდა გააანალიზონ როგორც კოლუმბიის რევოლუციის თეორიული პრობლემები, ისე პრაქტიკული ამოცანებიც. პარტიის მომავალი უმაღლესი ფორუმის გადაწყვეტილებებმა უნდა დასახოს კოლუმბიელი ხალხის რევოლუციური მოქმედების გზები, ხაზს უსვამს იგი.

ერთიანეულის
ბიბლიოთეკა
ბაკლესლისა და
ბაბალეს ინსტიტუტის
ბაკალენტრის
კორესპონდენტები
გვაცნობებენ

კომუნისტთა წარმატება

ნიუ-იორკი. 27 აგვისტო. ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტურმა პარტიამ სგულისხმო წარმატებას მიაღწია — პენსილვანიის შტატის ხელისუფალნი იძულებული გახდნენ მოამავალი არჩევნების „ენჩისყრის სიებში შეეტანათ ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის გენერალური მდივნის გ. ჰოლისა და კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრის ა. დივისის სახელები, რომლებიც შესაბამისად ქვეყნის პრეზიდენტობისა და ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატები არიან ამერიკელი კომუნისტებისაგან. მათ პრეზიდენტის არჩევნებში პენსილვანიაში კენჭისყრის უფლება მოიპოვეს მას შემდეგ, რაც 57 ათასმა ამერიკელმა ხელი მოაწერეს მათი მხარდაჭერის პეტიციას.

ფოტოინფორმაცია

უმუშევრობა კვლავ ამერიკის შეერთებული შტატების მწვავე სოციალურ პრობლემად რჩება. შრომის ბირჟებზე უმუშევარია რიგებში მრავლად არიან თეთრკანიანები და შავკანიანები, ქალები და კაცები, ახალგაზრდები და მოხუცები. მაგრამ სამუშაოდან უპირველესად ზანგებს ითხოვენ.

სურათზე: უმუშევარი დეტროიტელი ქალი.

საკლ.-საინფორმის ტელეფოტო.

ემზადებიან ყრილობისათვის

ბოგოტა, 27 აგვისტო. კოლუმბიელმა კომუნისტებმა ფართოდ გაშალეს მზადება თავიანთი XIII ყრილობისათვის, რომელიც მიმდინარე წლის 7-11 ნოემბერს გაიმართება. კოლუმბიის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ამასთან დაკავშირებით გამოაქვეყნა „პოლიტიკური თეზისების პროექტი", რომელსაც განიხილავენ ყველა პარტიულ ორგანიზაციასა და მუშათა კლასის თავმოყრის ძირითად ცენტრებში. კომპარტიის ამ ძირითად პოლიტიკურ დოკუმენტში შეფასებულია საერთაშორისო ვითარება, გაანალიზებულია კოლუმბიის პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა, ქვეყნის მშრომელთა და მთელი ხალხის ბრძოლა თავიანთი უფლებებისა და დემოკრატიისათვის, პროფკავშირული მოძრაობის ერთიანობისათვის, განხილულია პარტიის საორგანიზაციო პრობლემები და სხვა საკითხები.

უახლესი კვირების მანძილზე მთელ ქვეყანაში მოეწყობა პარტიული ორგანიზაციების, ყოთბზადემ განაცხადა, „თუ მძევლების პრობლემა გადაიჭრება (რა თქმა უნდა, მის მიერ შეთავაზებული ვარიანტის შესაბამისად), მთავრობას გაუჩნდება წარმატების გარკვეული შანსები. წინაადმდეგ შემთხვევაში იგი ვერაფერს ვერ მიაღწევსო".

მინისტრი კვლავ თავს დაესხა ირანის სახალხო პარტიას, ამავე დროს ბევრს ლაპარაკობდა „მოსკოვის ხელზე" და სრულიადაც არ შეცბუნებულა არც თავისი მტკიცებების უსაფუძვლობის, არც იმის გამო, რომ ისინი ფაქტობრივად ყველაზე აღვირახსნილი იმპერიალისტური, კერძოდ, ამერიკული, პროპაგანდის გადამღერებაა.

ყოთბზადეს ცილისმწამებლურ გამონათქვამებს საბჭოთა კავშირს შეაფასა რა ახალი მთავრობის საქმისანობის პერსპექტივები, ყოთბზადემ განაცხადა, „თუ მძევლების პრობლემა გადაიჭრება (რა თქმა უნდა, მის მიერ შეთავაზებული ვარიანტის შესაბამისად), მთავრობას გაუჩნდება წარმატების გარკვეული შანსები. წინაადმდეგ შემთხვევაში იგი ვერაფერს ვერ მიაღწევსო".

მინისტრი ყოთბზადემ გამოაცხადა, რომ „იკისრა ამერიკელ მძევალთა პრობლემის მოწესრიგების უმადური ამოცანა" და ამასთან კატეგორიულად „გაიღაშქრა მათი სამართალში მიცემის იდეის წინააღმდეგ". ასეთი გასამართლება, მისი თქმით, „რა რაკურსითაც უნდა განვიხილოთ იგი, ეწინააღმდეგება ჩვენს ინტერესებს". ყოთბზადეს ეს განცხადება მკვეთრად განსხვავდება იმამის კურსის მომდევარ მაჰმადიან სტუდენტთა პოზიციისაგან, რომლებსაც შეპყრობილი ჰყავთ ჯაშუშობაში დადანაშაულებული ამერიკელები, აგრეთვე ირანის მეტი წილი რელიგიური და პოლიტიკური მოღვაწეებისა და ირანის პარლამენტის დეპუტატთა პოზიციისაგან. როგორც ცნობილია, პარლამენტმა უნდა გადაწყვიტოს მძევალთა საკითხი. ამ ფონზე ძნელი არ არის დავინახოთ, რა მიზანს ისახავს ყოთბზადეს „ინიციატივა".

შეეხო რა შინაგან პრობლემებს, მინისტრმა ლაფით მოსვარა ირანის ისლამური რევოლუცია, მთელი რიგი მისი ხელმძღვანელები, ქვეყნის პროგრესული ძალები. ირანის ახალგაზრდობა, მისი თქმით, შეპყრობილია „ბრმა რადიკალიზმით". არ მოსწონს მინისტრს პატრიოტთა მისწრაფებაც — უახლოეს დროში გამოსაწორონ ქვეყანაში შექმნილი რთული მდგომარეობა. მინისტრმა მათ „იდეალისტი რევოლუციონერები" უწოდა. ირანის ახლად დანიშნულ პრემიერ-მინისტრს მოჰამედ ალი რაჯაის, თუმცა იგი, ყოთბზადეს თქმით, „ეთილი მუსულმანი და ერთგული რევოლუციონერია", „არ ძალუძს მართოს ქვეყანა, ცუდად იცნობს საშინაო და საგარეო პრობლემებს. განათლების მინისტრის პოსტზე ყოფნისას მან ვერ დაიმსახურა ნდობა".

ვიზიტი საუდის არაბეთში

ბეირუთი, 27 აგვისტო. დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ლორდი კარინგტონი ორდღიან ოფიციალურ ვიზიტად ჩავიდა საუდის არაბეთში ამ ქვეყნის ხელმძღვანელებთან მოლაპარაკებისათვის.

ფორინ ოფისის მეთაურის ეს ვიზიტი საუდის არაბეთისა და ინგლისის პირველი მაღალი დონის კონტაქტია იმ გახმაურებული სკანდალის შემდეგ, რომელიც ამ ორი ქვეყნის ურთიერთობაში მოხდა იმის გამო, რომ მიმდინარე წლის აპრილში ინგლისში აჩვენეს კინოფილმი „პრინცესას სიკვდილი". ამ ფილმში, საუდის არაბეთის ხელმძღვანელობის აზრით, წინასწარი განზრახვითა და მაჰმადიანებისათვის შეურაცხმყოფელად იყო ნაჩვენები ამ ქვეყნის ტრადიციები და წეს-ჩვეულებანი. ერრიადის პროტესტების მიუხედავად ფილმი გავიდა ეკრანებზე, რამაც დიდი აღშფოთება გამოიწვია საუდის არაბეთში, სპარსეთის ყურის მთელ რიგ ქვეყნებსა და სხვა მუსლიმურ ქვეყნებში. ერრიადში ინგლისის ელჩის ყოფნა არასასურველად გამოაცხადეს, შეიქმნა საფრთხე, რომ საუდის არაბეთი აღარ გაუგზავნიდა ინგლისს ნავთობს. საფრთხეში აღმოჩნდა აგრეთვე ამ ქვეყანაში მომუშავე ათასობით ინგლისის ქვეშევრდომთა ბედი და საუდ-ინგლისის დიპლომატიური ურთიერთობაც კი.

ყველივე ამის ფონზე კარინგტონის ახლანდელი ჩასვლა ერრიადში უნდა მივიჩნიოთ ლონდონის აშკარა მისწრაფებად „შეურიგდეს" საუდის არაბეთის ხელმძღვანელობას.

ინგლისის დიპლომატიური უწყების მეთაურის ვიზიტს კიდევ ერთი ასპექტიც აქვს. იგი დაკავშირებულია ლონდონის მისწრაფებასთან „უფროსი ამერიკელი პარტნიორის კვალდაკვალ" გზა-რდოს თავისი სამხედრო ყოფნა ახლო და შუა აღმოსავლეთში ამ რეგიონში იმპერიალისტური ბატონობის დამყარების მიზნით.

ბაკლესლისა და
ბაბალეს ინსტიტუტის
ბაკალენტრის
კორესპონდენტები
გვაცნობებენ

ხალხის ინტერესების საწინააღმდეგოდ

ნიუ-იორკი, 27 აგვისტო. ამერიკის ჟურნალმა „ტაიმმა" გამოაქვეყნა ირანის საგარეო საქმეთა მინისტრის ყოთბზადეს ინტერვიუ, რომელშიც ეხება ქვეყნის საგარეო პოლიტიკასა და მის საშინაო მდგომარეობასთან დაკავშირებულ მთელ რიგ საკითხებს. მინისტრის გამონათქვამები ეჭვს არ ტოვებს, რომ ისინი პროამერიკული ორიენტაციის კაცს ეკუთვნის.

ყოთბზადემ გამოაცხადა, რომ „იკისრა ამერიკელ მძევალთა პრობლემის მოწესრიგების უმადური ამოცანა" და ამასთან კატეგორიულად „გაიღაშქრა მათი სამართალში მ

ქალაქი სახლია ჩვენი

სასტუმრო „აჭარის“ წინ ვდგავართ და თბილისს გავყურებთ. მთაწმინდის თვალწარმტაც ფონზე მოეფინის არქიტექტურული ანსამბლი დიდებულ სანახობას ქმნის. რაღაცნაირი ამაღლებული განწყობილება გვეუფლება, გვეამაყება, ამ ქალაქის მკვიდრნი რომ ვართ და მის ლამაზ ქუჩებში დავდივართ.

ეს ახალი თბილისია. რამდენი ამგვარი უბანი შეემატა ქალაქს, როგორ გაიზარდა, დაშენდა, როგორ ატყვევებს მაესპინძლისა თუ სტუმრის თვალსა და გულს, აუწყებს მის აღშენებელთა შრომისმოყვარეობის, ნიჭისა თუ გონიერების ამბავს, მადლი თქვენ, მოჭირნახული მოქალაქენო!

რაც გაკეთდა, ამას ყველანი კარგად ვხედავთ, მაგრამ საყვარელი დედაქალაქის კეთილდღეობაზე ზრუნვა გვავალებს პირუთვნელად ვიღიაროთ ისიც, თუ რა აყენებს მას ჩრდილს, რა არ ეკადრება ჩვენს ლამაზ თბილისს. საუბარი შეეხება ქალაქის სანიტარულ წესრიგს. ეს თემა რედაქციაში გამოგზავნილმა საჩივრებმა გვიკარნახა და რეიდის ჩატარება გადაგვწყვეტინა. მაშ ასე, დავდიოთ თბილისის ქუჩებში...

ათონელის ქუჩის № 12 სახლის მცხოვრები შ. ჩუთლაშვილის წერილიდან:

— კიროვის რაიონის ბაზრის დახლები სულხანშვილის ქუჩაზე გამოდის. ისინი მთლიანად საზამთროს და ნესვის ვაჭრებს უკავიათ. გვიანობამდე ვაჭრობენ, ღრეობენ, ღამე ქუჩაში, დაზიანული საზამთროს გვერდით იძინებენ. ერთი სიტყვით, ძველ ბოშათა ბანაკში უფრო მეტი წესრიგი იქნებოდა, ვიდრე ჩვენი საკოლმეურნეო ბაზრის „ქუჩაში“. ეს ამბავი მოსახლეობის მეტს არავის აწუხებს...

რეიდმა ფაქტების სისწორეში დაგვარწმუნა. სულხანშვილისა და ათონელის ქუჩებში მიმდინარეობს ვაჭრობა, ყრია ნესვისა და საზამთროს ქერქები, თავლია სანაგვეებს ბუზი ახვევია.

ანტისანიტარიის გავრცელებას ხელს უწყობს ბარათაშვილის ქუჩის № 6—8 სახლში მდებარე № 8 სამეურნეო მაღაზიაც (გამგე — ბ. ყურაშვილი). საქონელი გასაყიდად ქუჩაში გამოუტანიათ და გარშემო ბურბუშელები და მუყაოს ყუთები მიმოუფანტავთ.

თემქის დასახლების მე-11 მიკრორაიონის მე-3 კვარტალის მცხოვრებნი გვეკითხებიან:

— წელიწადის რომელ თვეებში უნდა იყენებდნენ ბუზის საწინააღმდეგო საშუალებებს, თუკი მთელი ზაფხულის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ მოაფრქვიეს დუსტი ნაგავსაყრელ ბუნკერში.

ბუნკერების სიბინძურეზე და ბუზების მომრავლებაზე ჩიოდნენ ვაჟა-ფშაველას გამზირის № 49 სახლის მცხოვრებნიც. რეიდმა დაგვარწმუნა, რომ დეზბაზის მუშაკები სათანადოდ ვერ ემსახურებიან ობიექტებს, რედაქციის ჩარევის შედეგად ნაგვის გატანის გრაფიკი აღარ ირღვევა და ბუნკერები დუსტით დამუშავდა, მაგრამ ბუზის მოსპობა ვერ მოხერხდა (ტყუობა, დუსტით დამუშავება სუსტი სამუშაოებია).

თოფურიძის ქუჩის № 33 სახლის მცხოვრებთა საჩივარი შეეხებოდა ეზოს სანიფაურეშოების საკანალიზაციო მილების გაფუჭების შედეგად შექმნილ ანტისანიტარიას, მღრღნელების მომრავლებასა და ნაგვის გატანის დაგვიანებას. წერილი რედაქციამ ლენინის რაისაბჭოს აღმასკომის სანიაო სამმართველოს გადაუგზავნა. ლენინის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ რ. ჯაველიშვილმა აღნიშნულ სახლში წესრიგის სრული აღდგენა უპატაჟა რედაქციას, რეიდმა კი

დავდივართ თბილისის ქუჩებში

პასუხის სიცრუე გამოავლინა. საპირფარეშოები და საკანალიზაციო მილები შეუკეთებელია, მღრღნელები ისევ დათარეშობენ ეზოში.

ჩაპაევის ქუჩის პირველი შესახვევის № 3 სახლის მცხოვრებნი ფ. სომხიშვილი, ნ. ტერტერაშვილი და სხვები გვწერენ, რომ ლენინის რაიონის სანიტარიული დასუფთავების სპეცავტომეურნეობის (უფროსი — ბ. ბეალავა) ეზო თავად წარმოადგენს ანტისანიტარიის წყაროს. შემოწმების დროს ტერიტორია დანაგვიანებული აღმოჩნდა, ისედაც მცირე ეზო სავსეა ამორტიზებული მანქანებით და ჯართით. ნაგვის მანქანები გარეგნულად ძალზე ცუდად გამოიყურება, დაბინძურებულია, არ ირეცხება, არ უკეთდება დეზინფექცია. ეზოს სივიწროვის გამო ასეთი მანქანები ღამე ქუჩაში უდგათ, რაც მოსახლეობის სამართლიან საჩივრებს იწვევს.

სპეცავტომეურნეობის ხელმძღვანელობამ აღიარა მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი, რომ ზოგჯერ ირღვევა ნაგვის გატანის გრაფიკი, რის მიზეზადაც ცუდი სამუშაო პირობები დასახელა. მანქანების ნახევარი გამოსულია მწყობრიდან, არა აქვთ სათადარიგო ნაწილები, აკლიათ მტვირთავი მუშები, მძღოლები, არ ხდება მანქანების რეცხვა-დეზინფექცია. ეს უდავოდ ანგარიშგასაწევი მიზეზებია, ხელმძღვანელობას სჯერდება ამ მხრივ დახმარება და კიდეც უნდა აღმოუჩინონ იმათ, ვისაც ეს ეკადრება, და რაც შეიძლება მალე, რადგან ავტომეურნეობის ჯარის მოუწესრიგებლობის გამო ნაგავი „ვერ მოიცდის“, იგი უნდა გაიტანონ.

იგივე ნაკლოვანებები აღმოჩნდა ოქტომბრის რაიონის სანიტარული დასუფთავების სპეცმეურნეობაშიც (უფროსი — კ. თუმანიანი). მაგალითად, ცრა ძმის ქუჩიდან ნაგავი, იმის ნაცვლად, რომ ყოველდღიურად გაიტანონ, 2-3 დღეში ერთხელ გააქვთ.

უამრავი მაგალითის მოტანა შეიძლება იმის საილუსტრაციოდ, რომ დედაქალაქის სანიტარული წესრიგი ვერ არის სათანადო დონეზე (თუნდაც ის, რომ საქალაქო და რაიონულმა სანიტარულმა სამსახურებმა ივლისისა და აგვისტოს პირველ ნახევარში დააჯარიმეს 327 პასუხისმგებელი მუშაკი და მობინადრე, ხოლო 30-ზე მეტი ობიექტი დაკეტეს), იმ დონეზე, რომელიც თბილისს შეეფერება. ასეთ ვითარებას ბევრი მიზეზი განაპირობებს. (უდიდ მუშაობენ კეთილმოწყობის რაიონული განყოფილებები, დეზპუნქტები, სპეცავტომეურნეობები, მილიციის უბნის რწმუნებულები, საბინაო სამმართველოები, რაიონული საბჭოს აღმასკომები. მაგრამ წერილის მეორე ნაწილში გვსურს განსაკუთრებით ის ფაქტი აღვნიშნოთ, რომლებიც მეტყველებენ მოქალაქეთა დანაშაულზე ამ მხრივ. ცნობილია, რომ სანიტარულ წესრიგს ზოგჯერ სასტიკად აღრღვევენ თვით მოქალაქეები.

საირმის ქუჩის მე-10 კორპუსის მცხოვრები ი. ჭირაქაძის წერილიდან:

— მეორე წელია ამ კორპუსში ვცხოვრობ და არ მახსოვს ნაგავი დროულად გაეტანოთ. ამჟერად კი ერთი თვეა (ივლისი, ყველაზე ცხელი თვე) კორპუსიდან ნაგავი არ გაუტანიათ. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ამავე კორპუსის მეორე სადარბაზოში ცხოვრობს ორჯონიკიძის რაიონის სანიტარული დასუფთავების ავტომეურნეობის დირექტორი ი. ჯიბლაძე, რომელიც ამ მდგომარეობას ვერ ამჩნევს.

რაიონის სანეპიდსადგურის დავალებით საყოფაცხოვრებო ნაგვის ბუნკერიდან გატანის საქმე მოწესრიგდა, სპეცავტომეურნეობას მიეთითა, რომ საჭიროა დაიცვას ნაგვის გატანის გრაფიკი. სანიტარული წესრიგის დარღვევისათვის საყვედური გამოეცხადათ იმათ, ვინც თავიანთ მოვალეობას დროულად არ ასრულებს, მაგრამ ამავე კორპუსის მობინადრეებმა იმასაც უნდა მიაქციონ ყურადღება, თუ რა დანაშაულს სჩადიან.

ანტისანიტარული პირობებია შექმნილი ქუჩის მახლობელ ხევში. სახლი კოოპერაციულია და მოსახლეობა თვითნებურად აწარმოებს გადაკეთება-რემონტებს, მონანგრევებია და სამშენებლო მასალებით დაუნაგვიანებიათ ხევი. უკანონო ნაგავსაყრელად გადაუქცევიათ.

უკანონო ნაგავსაყრელები, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ მოსახლეობის, მოქალაქეების უდისციპლინობის მიზეზით არის წარმოქმნილი, მომრავლდა თბილისში. მდინარე ვერეს მარჯვენა ფერდობი ბაგებიდან სახელმწიფო უნივერსიტეტამდე ყველგან უკანონო ნაგავსაყრელად გადაუქცევია იყალთო-ბახტრიონის მთის და მონაკვეთის დასახლების, წყნეთისა და ყოფილის ქუჩების, ჭავჭავაძის ჩიხის, ჭავჭავაძის პროსპექტის № 17 და 35, ატენის ქუჩის ბოლოს განლაგებული საცხოვრებელი სახლების, საწარმოების, სასწავლებლების, დაწესებულებებისა და კერძო სექტორის მოსახლეობას.

საქარხნო რაიონის საქმიდროენერგომშენის დასახლებაში ჭიკინაძის ქუჩის ხევი მთელ სიგრძეზე დანაგვიანებულია ოჯახებიდან გამოტანილი ნაგვით.

ლილოში „საქყოფყმიის“ გაერთიანების უკან მდებარე თავისუფალი ტერიტორია უკანონო ნაგავსაყრელად არის ქცეული, ქარხნის კანალიზაციის წყლები ჯერ იმავე ტერიტორიაზე გროვდება, შემდეგ ლოჭინში ჩაედინება.

ზაპეს-ავჭალა-თბილისის სატვირთოს მონაკვეთზე რკინიგზის ლიანდაგის ორივე მხარეს ფერდობები დაბინძურებულია მატარებლიდან გადმოყრილი ნაგვით.

უკანონო ნაგავსაყრელებია აგრეთვე დიღმის მასივის ბოლოში პირდაპირ მტკვრის ხეობის ფერდობებზე. დიღმურას ფერდობებიც ანალოგიურ მდგომარეობაშია. ოქტომბრის რაიონში — ცაიშის ქუჩის ბოლოს, ნორიოს, ტყე-კულტურის, აფხაზეთის ქუჩებში ნაგვის დიდი გროვებია. ჩამოთვლა არ დაგვიმთავრებია, მაგრამ აქ შეგწყვეტთ, რადგან გული გვწყდება იმ დარღვევების ნახვით, რაზეც წარმოდგენაც კი არ შეიძლება ჰქონდეთ დაკრიალებული, ცენტრალური ქუჩების მცხოვრებთ. ესა და სხვა სანიტარული უწესრიგობა არ შეეფერება ჩვენს ლამაზ, განახლებულ და განაშენიანებულ დედაქალაქს! ქალაქი ხომ სახლია ჩვენი!

ჯ. ღარიბოვი,
თბილისის სანეპიდსადგურის კომუნალური ჰიგიენის პირველი განყოფილების ექიმი;

ს. ბენიაშვილი,
საქალაქო საბჭოს აღმასკომის ოპერატიული სარეიდო ბრიგადის წევრი; თბილისის საქალაქო სანეპიდსადგურის მუშაკი;

ნ. ნორაკიძე,
გაზეთ „კომუნისტის“ სპეც. კორ.



1 სექტემბერს — ახალ სკოლაში



ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე რამდენიმე დღეა დარჩა. ქალაქის ყველა სკოლა შეკეთდა, ზოგიერთი გადაკეთდა, მიაშენეს კლასები, კაბინეტები, სპორტული ნაგებობები. ბევრ ბავშვს ახალი სკოლის შენობა ელის. ერთი მათგანია — თბილისის საქარხნო რაიონის 94-ე განაგრძელებელი დღის საშუალო სკოლა. პირველ სექტემბერს აქ მერხებს მიუსხდება 1.250-ზე მეტი ბავშვი და გოგონა. მათ განკარგულებაშია 30 კაბინეტი და ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, 150-ადგილიანი სახადილო. სკოლას აქვს დიდი საქტო და სპორტული დარბაზები, საცურაო აუზი, ღია სპორტული კომპლექსი.

ახალ სკოლაში შეიქმნება ქორეოგრაფიული სტუდია და მუსიკალური ათწლედი.

დიდი ყურადღება დაეთმობა ბავშვთა შრომითს აღზრდას. ამ მნიშვნელოვან საქმეს ხელს შეუწყობს კარგად აღჭურვილი საზეინკლო, სადურგლო და ხელსაქმის კაბინეტები.

მოსწავლეები ვეღარ ითმენენ, სანამ ახალ მერხებს მიუსხდებიან. ისინი ხშირად მოდიან და უფროსებს ეხმარებიან ახალი სასწავლო წლისათვის სკოლის მომზადებაში.

სურათებზე: თბილისის საქარხნო რაიონის გახანგრძლივებული სწავლების ახალი საშუალო სკოლის საერთო ხედი; კლასების მომზადება ახალი სასწავლო წლისათვის.

ა. კავკასიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ხელოვანი და მისი სამყარო

რაფაელი

მოსკოვში, ოლიმპიადის დღეებში საყოველთაო მოწონება ჰქონდა ცენტრალური საცხენოსნო კომპლექსის დიდებულ კომპოზიციას — მუვარდნელ ტალღაზე ათმეტრიანი ზღაპრული რაშები შემართულან, თითქოს მიფრინავენო. ძლიერ და მოულოდნელ მხატვრულ-ემოციურ ეფექტს ახდენს მაყურებელზე ეს ვეკაციური და პოეტური კომპოზიცია.

მზიანობა იგრძნობა სპილენძში ჩამოქნილ ამ რაშებში და ეს არც არის შემთხვევითი — ქართულ მითოლოგიაში ცხენს ხომ განსაკუთრებული ადგილი უკავია. სილამაზე, ძალა, სწრაფვა, გამბედაობა, წინსვლის დაუოკებელი სურვილი—აი, რა გრძნობებს გადმოსცემს ეს დიდებული ნაწარმოები, რომლის ავტორია თბილისელი ხელოვანი გიორგი ჯაფარიძე.

აღსანიშნავია ერთი რამ: კონკურსი არ შემდგარა, გიორგი ჯაფარიძე ერთადერთი იყო, რომელსაც ანდეს ოლიმპიადის მესვეურებმა ძეგლის შექმნა საცხენოსნო კომპლექსისათვის და ეს ძეგლი სპორტმენთა დიდი მსოფლიო ფორუმის შესაფერისი უნდა ყოფილიყო. დრო კი ცოტა იყო — წელიწად-ნახევარი.

და აი, შემოქმედმა გაბედული გადაწყვეტილება მიიღო, — უარი თქვა თაბაშირისა და ბეტონის ტრადიციულ მოდელზე, რომელიც დიდ დროს მოითხოვს. ესეიგი გააკეთა მხოლოდ და შემდეგ ცხლად ჭედვისა და შედუღების თავისებური ტექნიკა გამოიყენა, პირდაპირ მასალაზე — სპილენძზე მუშაობდა, რაც სიაფლეა მონუმენტური ქანდაკების შექმნაში.

...ჯერ აქ, თბილისში, მოქანდაკის სახელოსნოში ჩაიდგეს სული ამ ცხენებმა. შემდეგ ისევ ნაწილებად დაიშალნენ და იქ, მოსკოვში გაემართეს მუხლი, რათა სამუდამოდ დარჩნენ დედაქალაქში ძლიერების, სწრაფვის, გამარჯვების, სილამაზის სიმბოლოდ.

...გიორგი ჯაფარიძეს რაც თავი ახსოვს, ხატვა და ძერწვა, ჭედვა და კერკეტი უყვარდა. შემოქმედების ანბანს პიონერთა სასახლეში ეზიარა, შემდეგ სამხატვრო აკადემიაში ისწავლა.

რომელ ნაწარმოებს გამოარჩევს ყველაზე მეტად? სიყვარულით ყველა უყვარს. ყველა ძიების, შრომისა და წვალების შედეგია. ყველაზე ახლოს კი მის სულთან მაინც იტალიაში დადგმული ძეგლია, იტალიის თავისუფლებისათვის მებრძოლ ვჩირთა ხსოვნას რომ მიუძღვნა. ასევე გამორჩეულად უყვარს პოლანდიაში, ტექსელის გმირების ხსოვნისადმი მიძღვნილი ძეგლი, გოგი ოჩიაურთან. და ზურაბ საყვარელიძესთან ერთად შექმნილი „სიცოცხლის ხე“. აღსანიშნავია რომ ეს ძეგლები საკუთრივ განსხვავდება ერთმანეთისაგან როგორც კომპოზიციურად, ისე შესრულების მანერით. შმხეენიერია ბიჭვინთური დეკორატიული- კომპოზიცია „ტალღა“ და მრავალი სხვა.

ახალგაზრდა შემოქმედს მხოლოდ მონუმენტური ქანდაკება როდი იზიდავს. მრავალფეროვანია მისი შემოქმედებითი თემატიკა. აქვს მინიატურული ქანდაკებებიც, პორტრეტები, კომპოზიციური ტილოები, იმ უძველეს ხელოვნებასაც უხდის ხარკს, საუკუნეთა სიღრმეში რომ იღება სათავეს და ჩვენს დროში ირაკლი ოჩიაურმა, კობა გურულმა და მთმა მიმდევრებმა რომ აღორძინეს. საერთოდ, ირაკლი ოჩიაურისაგან გიორგი ჯაფარიძე ბევრ რამეში თვლის თავს დავალებულად და მაინც ლითონმქქანდაკებლობას რომ მოჰკიდა ხელი, საკუთარი გზით წავიდა.

სიამოვნებით ეცნობით ახალგაზრდა შემოქმედის ქმნილებებს, — ლირიკა, ქართული ჩუქურთმის მადლი და ემბი იკითხება მათში. რასაც უნდა ხატავდეს, ძერწავდეს და ჭედდეს, მისი ქმნილებები სუნთქავენ ეროვნული სულით, კაცთმოყვარეობით, ჰუმანიზმით, სიცოცხლის სიყვარულით.

ახალი გეგმები? მალე როსტოვის ოლქში, საფეიქრო მრეწველობის ცენტრში, ქალაქ შახტში დაიდგმება „სამი ბრაცია“ — სამი ფეიქარი ქალის თერთმეტმეტრიანი კომპოზიცია. გ. ჯაფარიძე ემზადება პერსონალური გამოფენისათვის. ამჟამად ესკიზები გადაკვეს ბრინჯაოში, სპილენძსა და სხვა მასალაში. ქმნის ბატარა კომპოზიციებს, დეკორატიულ თეფშებს თუ ფერწერულ ტილოებს — ბევრ მათგანს ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ დაუდვეთ ბინა.

კვლავაც წარმატება და გამარჯვება ყოფილიყოს ახალგაზრდა ქართველი ხელოვნის ფლობელი!

ლია მიქაძე.

ჭადრაკში თანასწორუფლებიანობისათვის

მოჰაჯრაკე ქალთა მსოფლიო პირველობის ნახევარფინალური მატჩები ეს-ესაა დაიწყება. უფრო ზუსტად, 1 სექტემბერს თბილისში სტარტი მიეცემა ნონა გაფრინდაშვილისა და ნანა იოსელიანის მატჩს, ხოლო 5 სექტემბერს ვილნიუსში — ნანა ალექსანდრიასა და მარტა ლიტინსკაიას ნახევარფინალური შეხვედრა დაიწყება.

დღეს გთავაზობთ გიორგი მახარაძის ჯერ კიდევ დაუსტამბავი წიგნის — „შამპაკეთა პირისპირ“ — ნაწყვეტს, სადაც მოთხრობილია, თუ რა ბრწყინვალედ იასპარეზა ნონა გაფრინდაშვილმა ვაუთა ტურნირებში.

... ნონა გაფრინდაშვილის მიღწევათა ნუსხაში განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია გეტებორგის (1967-68 წლები), დორტმუნდის (1974 და 1978 წლები), სანდომირის (1976 წელი) და ლონ-პაინის (1977 წელი) ვაუთა საერთაშორისო ტურნირებში მოპოვებული შედეგები. ამჟერად ორი მათგანის — ლონ-პაინისა და დორტმუნდის 1978 წლის ასპარეზობათა შესახებ ვისაუბრებთ.

1977 წლის მარტში, „ჟურორტ ლონ-პაინში ამერიკის შეერთებული შტატების ღია ჩემპიონატზე ჩვენს ქვეყანას ნონასთან ერთად დიდოსტატი ი. ბალაშოვი წარმოადგენდა.

ლონ-პაინის ტურნირში მონაწილეობდა 14 დიდოსტატი, 16 საერთაშორისო ოსტატი და ამდენივე ეროვნული ოსტატი. სულ 46 მამაკაცი და ნონა. გათამაშდა ცხრა ტური.

ეჭვი არ არის, ეს შეჯიბრება უთვალსაჩინოს აგდილს დაიჭერს ქალთა საჭადრაკო ისტორიაში: პირველად მამაკაცთა ტურნირის მრნაწილე მანდილოსანმა ბრწყინვალე თამაშით პირველი-მეოთხე ადგილები გაინაწილა (დიდოსტატებთან ი. ბალაშოვთან, არგენტინელ ო. პანოსთან და საერთაშორისო ოსტატთან იუგოსლაველ დ. მახოვრინთან ერთად) და ამასთან, დიდოსტატის ნორმატივიც (ერთი ბალი) შეასრულა. გამარჯვებულ ოთხეულს შორის ადგილების განაწილებაზე რომ მიმდგარიყო საქმე, კოეფიციენტით პირველი ადგილი ნ. გაფრინდაშვილს მეენიჭებოდა.

ნონა გაფრინდაშვილი ამერიკის შეერთებული შტატების ჩემპიონი მამაკაცთა შორის! როგორ ეღირს?

ნონამ, მართლაც რომ, ფანტასტიკურ შედეგს მიაღწია. მის მიერ დამარცხებულთა შორის აღმოჩნდა ერთბაშად სამი დიდოსტატი (ჯ. ტარიანი, ა. ლეინი და ლ. შამკოვიჩი). აქედან ორი — ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრები გუნდის წევრია.

მოგვყავს პარტიის ფინალი დიდოსტატ შამკოვიჩთან. ამ შეხვედრასთან დაკავშირებით ტურნირის ერთ-ერთი გამარჯვებული დიდოსტატი ი. ბალაშოვი წერდა, ნონამ შამკოვიჩი პირდაპირ გაანადგურაო.

40. ეf7:g7+! მფg8:g7 41. ლf3:e4 ლg5 f5 42. ლe4—e3 მფg7—f7 43. ეb5—b4 b3—b2 44. ეb4:b2 მფf7—g7 45. ეb2—f2 ლf5—h5 46. ეf2—f4 ეe8—h8. 47. ლe3—g3+. შავები დანებდნენ ლაზიერის გარდაუვალი დაკარგვის გამო. (დიაგრამა იხილეთ ქვემოთ — მარცხნივ).

— ლონ-პაინში მისმა თამაშმა, — წერდა არგენტინელი დიდოსტატი მ. კინტეროსი, რომელიც წინათ ოლოტის საერთაშორისო ტურნირში შეხვედრია ნონას, — ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. სხვათა შორის, ესოდენ დიდი წარმატება ნონას აქ პირველობამ მივულოცეთ მე და ჩემმა მეუღლემ, რომელმაც მოსწრებულად, ნიშნისმოგებით მომმართა: „როდის ისწავლით ასეცები.., ქალბატონ თამაშს?“.

გაზეთმა „პრავდამ“ საჭადრაკო მიმოხილვაში ორგზის ქება-დიდებით მოიხსენია მოჭადრაკე ქალის ეს დიდი მიღწევა და დამახასიათებელი შეფასება მისცა მას, ხოლო გაზეთმა „იზვესტიამ“ გამოაქვეყნა დიდოსტატ ტარიანთან მოგებული პარტია და მიმოხილვა ასე დაასათაურა: „ჩემპიონი ქალი ვაჟი ჩემპიონის როლში“.

გაზაფხული, 1978 წელი.

ნონა უკვე მეორედ დორტმუნდის ვაუთა საერთაშორისო ტურნირის მონაწილეა. მასთან ერთად იასპარეზეს ცნობილმა დიდოსტატებმა შვედმა უ. ანდერსონმა, ინგლისელმა რ. კინმა, უნგრელმა ი. ფარაგომ, რიგელმა ა. გიასლისმა, საერთაშორისო ოსტატმა იტალიელმა ს. ტატაიმ, იუგოსლავმა ს. მარიანოვიჩმა, რომელიც უკვე რამდენიმე თვის შემდეგ, სახელდობრ ქროვაკანის საერთაშორისო ტურნირში მიღწეული შედეგით დიდოსტატი გახდა...

ტურნირში 11-დან 8 ქულით გაიმარჯვა ანდერსონმა. ნონამ მეორე-მესამე ადგილები 7,5-7,5 ქულით გაიყო კინთან ერთად. ამასთან, გაბედული თამაშით ერთადერთი დამარცხება მიაყენა თვით ანდერსონს.

ეტყობა, დაძაბულობამ თავისი ქნა, თან ანდერსონს ციაიტნოტი უახლოვდებოდა.

ნონამ სწორად შეაფასა მდგომარეობა და მოწინააღმდეგეს მოულოდნელი გაგრძელება შესთავაზა მხედრის შეწირვის ვარიანტით: 34. c5:b5+... რასაც ანდერსონის სწრაფი პასუხი მოჰყვა 34... მფc6:d5 შავები მახეში აღმოჩნდნენ. 35. b5:a6 მf8—e6 აგებს 35... მფc6 რასაც მოჰყვებოდა 36. b5+! მფc7 37. b6+ მფc6 38. a7 მფb7 39. a6+. 36. a6—a7 მe6—c7 37. h4—h5 შავები დანებდნენ, რადგან თეთრების პიაკების შეჩერება შეუძლებელია. (დიაგრამა იხილეთ ქვემოთ — მარჯვნივ).

ნონას დიდოსტატის ბალის ნორმატივამდე ნახევარი ქულაღა დააკლდა, საერთაშორისო ოსტატისას კი მთელი ქულით გადაჭარბა.

დღეისათვის ნონას დამარცხებული ჰყავს ათამდე დიდოსტატი, ხოლო მათი (დიდოსტატების) რიცხვი, რომლებთანაც ყაიმით აქვს შეხვედრები დამთავრებული, თითქმის სამ ათეულს აღწევს, ზოგიერთ მათგანთან (ი. გელერი, ლ. სბო, ბ. გურგენიძე და სხვ.) ორჯერაც...

არ შეიძლება არ გავიხსენოთ შორეული არგენტინის დედაქალაქ ბუენოს-აირესიდან მოსული სასიხარულო ცნობა: ფიდეს კონგრესმა ნონა ტარიანის ასულ გაფრინდაშვილს პირველს ჭადრაკის ისტორიაში, მიანიჭა დიდოსტატის წოდება მამაკაცებს შორის.

— ვიბრძვი ჭადრაკში თანასწორუფლებიანობისათვის! — აცხადებს ნონა და არათუ სიტყვით, საქმითაც იბრძვის. ავლენს შეუპოვრობას, სიმტკიცეს, მაღალ სპორტულ-მორალურ თვისებებს დასახელოს განსახორციელებლად.

გიორგი მახარაძე.



ლ. შამკოვიჩი



უ. ანდერსონი



ნ. გაფრინდაშვილი



ნ. გაფრინდაშვილი

სურათზე: ლონ-პაინში 1977 წელს გამართულ ტურნირში ნ. გაფრინდაშვილისა და ჯ. ტარიანის შეხვედრის მომენტი.

ყაბალახი

ესპანეთს გაემგზავრნენ

ესპანეთის ქალაქ კადისში საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობისათვის გაემგზავრნენ თბილისს. „დინამოს“ ფეხბურთელები. გუნდს ხელმძღვანელობენ ნ. ახალკაცი, ქ. ასათიანი და ს. კუტიკაძე. დინამოელთა შემადგენლობაში არიან: ო. გაბელია, ი. მამინაშვილი, შ. ხინჩაგაშვილი, თ. კოსტავა, დ. მუჯირი, გ. ჭილაია, ვ. დარასელია, რ. შენგელია, ვ. ყიფიანი, რ. ჩელებაძე, ა. მინაშვილი, გ. თავაძე, ვ. ჟვანია, ;გ. ჯობაძე, გ. ცაცა და ნ. ქაკილაშვილი.

კადისის ტურნირში არ იასპარეზებენ ა. ჩივაძე და თ. სულაქველიძე, ვინაიდან ისინი სსრ კავშირის ნაკრებში არიან გაწვეული. რაც შეეხება ვ. გუცაევს, იგი ტრავმის შემდეგ ჯერ არ გამოჯანმრთელებულა და მკურნალობს.

პირველ ლიგაში

გაიმართა პირველი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის ოცდამეცხრე ტურის მატჩები. ამ ასპარეზობის მონაწილე საქართველოს კოლექტივებმა — ქუთაისის „ტორპედომ“ და ლანჩხუთის „გურიამ“ სტუმრად გამართეს შეხვედრები. „ტორპედომ“ წაიგო მატჩი სვერდლოვსკში ადგილობრივ „ურალმაშთან“ (1:2), ხოლო „გურიამ“ ფრედ დაამთავრა შეხვედრა (1:1) კუიბიშევში „კრილია სოვეტოვთან“.

„ტყავის ბურთის“ პრიზზე

საკავშირო ალკა ცენტრალური კომიტეტის კლუბის „ტყავის ბურთის“ მთავარი პრიზი უმცროსი ასაკის ფეხბურთელთა გუნდს შორის მოიპოვა კიევის „ფაკელმა“, რომელმაც ბრიანსკში გამართულ ფინალურ მატჩში პენალტების სერიით (9:8) დაამარცხა „სოხეთი — 60“-ის კოლექტივი. მესამე ადგილისათვის გამართული შეხვედრა რუსთავის „ივერიამ“ მოუგო „გიორტალს“ (აზერბაიჯანი) ანგარიშით 5:2.

სატურნირო ორგიტა

დასასრულს მიუახლოვდა სსრ კავშირის მოჭადრაკე ქალთა მე-40 ჩემპიონატის შესარჩევი ასპარეზობანი გომელსა და კიშინიოვში. ფინიშამდე სამი ტურით ადრე ლიდერთა სატურნირო მდგომარეობა ასეთია:

გომელი. აქ ლიდერობს ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი ქალთაშვილი, რომელმაც 12 შესაძლებლიდან 9 ქულა დააგროვა. მომდევნო ადგილებზე არიან მ. ზაიცევა და ლელიუკი — 8_8 ქულა, ტ. ბელოვა და ფომინა — 7,5-7,5.

კიშინიოვი. აქაც საქართველოს წარმომადგენელი — ქ. მელაშვილი ლიდერობს — 9 ქულა 12-დან. მომდევნო ადგილებს ინაწილებენ სტოუტინსკაია — 8,5 (12-დან), ე. ბელოვა, მუჩნიკი, საუნინა — 7,5-7,5 ქულა.

ვაჟთა ანალოგიური ტურნირების მონაწილენი კრასნოდარში, კრასნოიარსკსა და ტალინში ისევებდნენ. დნეპროპეტროვსკში გამართულ მორიგ ტურში სტურუა დამარცხდა ვასიუკოვთან.

მეხიკოში გრძელდება ახალგაზრდა მოჭადრაკეთა მსოფლიო გუნდური ჩემპიონატის ფინალური ტურნირი, რომელშიც 10 ნაკრები მონაწილეობს. მეორე ტურში სსრ კავშირის მოჭადრაკეებმა დაამარცხეს კოლუმბიელები — 2,5:1,5. დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: შოტლანდია-ინგლისი — 1:2 (1 პარტია გადაადო), ბრაზილია-აშშ — 0,5:0,5 (3), ჩინეთი-არგენტინა — 0:2 (2), კუბა-დომინგოს რესპუბლიკა — 0,5:0,5 (3).

ბაბიოში (ფილიპინები) გრძელდება საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც შვიდი ტურის შემდეგ 4,5-4,5 ქულით ლიდერობენ მსოფლიოს ექსჩემპიონი ვასილ სმისლოვი და ფილიპინელი დიდოსტატი ეუგენიო ტორე. მორიგ ტურში სმისლოვმა დაამარცხა რაინა რავიშეკარი (ინდოეთი), ტორემ კი ყაიმით დაამთავრა შეხვედრა თბილისელ თამაზ გიორგაძესთან. გიორგაძეს, რაიმონდ კინს (ინგლისი) და არჭიიანსახს (ინდონეზია) 4-4 ქულა აქვთ. ამასთან, კინს ერთი პარტია აქვს გადადებული. შეჯიბრების დამთავრებამდე ოთხი ტური დარჩა.

გაზეთ „კომუნისტის“ მიმრიგი ნომერი გამოვა შაბათს, 30 აგვისტოს.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

მიმდინარე წლის 31 აგვისტოს, 1, 2, 3 სექტემბერს თბილისის სპორტის სასახლეში ეწყობა საერთაშორისო საესტრადო პროგრამა

„შემოდგომის კალეიდოსკოპი“

მონაწილეობენ: კუბის, პოლონეთის, მექსიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ბულგარეთის, რუმინეთის, სსრ კავშირის მსახიობები, კონცერტებში მონაწილეობას მიიღებს ანსამბლი „75“.

კონცერტების დასაწყისი 20 საათზე.

ბილეთები გაიყიდება სპორტის სასახლის, ფილარმონიისა და ცენტრალური თეატრალურ სალაროებში.

მიიღება შეკვეთები კოლექტიურ დასწრებაზე.

ტელევიზია

28 აგვისტო

პირველი პროგრამაში: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 18.00 — ქართული მულტიკულტურული ფილმი „ფანტაზია“ (ფ.), 18.10 — მოსწავლეთათვის — „წყაროსთვალი“ (ფ.), 18.55 — განცხადებები, 19.00 — ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით — გვესაუბრება სსრ კავშირის განათლების მინისტრი მ. პროკოფიევი (მ.), 19.30 — ქართული საგვლევითი დოკუმენტური ფილმი „ორმოცი ძნელი წუთ